# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 8 ნოემბერი, 2007 წელი.

№ 214 (5815)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


# 2007 წლის 7 ნოემბერი: ხელისუფლებამ ხელი აღმართა ხალხზე!



ნიღბიანი დავით კეზერაშვილი და ვანო მერაბიშვილი რუსთაველზე










## პრეზიდენტმა ქვეყნის მოსახლეობას მიმართა



გუშინ საღამოს, მას შემდეგ, რაც სამართალდამცავმა ორგანოებმა ქალაქის ქუჩები გაწმინდეს მომიტინგეთაგან, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ტელევიზიით მიმართა ქვეყნის მოსახლეობას.

მან სამართალდამცავთა მოქმედება შეაფასა როგორც აბსოლუტურად კანონიერი და სწორი!

# ადუღებული დრო

● ამ სიტუაციაში პოლიტიკოსებმა უნდა შეძლონ უფრო მეტი დათმონ, დათმონ პირადი ამბიციები და ბრძნული, აუჩქარებელი გადაწყვეტილებები მიიღონ ქვეყნისა და ხალხის სასარგებლოდ — ასეთია ყველა მოაზროვნე ქართველის აზრი



◉ პოზიცია

## კათოლიკოს-პატრიარქი:

## ვითარების განმუხტვის ერთადერთი გზა დიალოგია

რუსთაველის გამზირზე აქციის დარბევასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. როგორც პატრიარქმა აღნიშნა, იგი შეხვდა პარლამენტის თავმჯდომარეს და შექმნილ კრიზისულ ვითარებაზე ესაუბრა. პატრიარქი მიიჩნევს, რომ ვითარების განმუხტვის ერთადერთი გზა დიალოგია.

— მიმაჩნია, რომ სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი დიალოგია. ეს დაპირისპირება აწყობს გარე ძალებს. მე მზად ვარ, თუ იქნება ორივე მხარის სურვილი, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დიალოგში მივიღო მონაწილეობა. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ამით დაინტერესებულნი არიან უცხო ძალები და ჩვენ მათ ამის საშუალება არ უნდა მივცეთ, — განაცხადა მისმა უწმინდესობამ.

— მე ვფიქრობ, რომ არის ერთადერთი გზა — ეს არის დიალოგი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის და თუ იქნება ორივე მხარის სურვილი, ჩვენ მზად ვართ მივიღოთ მონაწილეობა ამ დიალოგში. მე მინდა მივმართო სრულიად საქართველოს, ყველა მოქალაქეს, შევინარჩუნოთ სიმშვიდე და ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა დავიდეს სამშვიდობო გზაზე. იმედი მაქვს, რომ დიალოგის შედეგად იქნება გამომუშავებული კომპრომისი და ჩვენ მივაღწევთ შეთანხმებას. ღმერთმა ინებოს საქართველოს მშვიდობა და კეთილდღეობა, — განაცხადა პატრიარქმა.

◉ პარლამენტის თავმჯდომარე

## რეზინის ტყვიები — საქართველოს გულში!



იმას, რაც გუშინ რუსთაველის პროსპექტზე მოხდა, არც ერთი ჩვენგანი გულგრილად არ შეხვედრია: ხელკეტებითა და ცრემლსადენი (?ძ გაზით დაერივნენ ხალხს, რომელიც მშვიდობიანი გზით გამოხატავდა პროტესტს.

სამწუხაროდ, ვერც ერთმა მხარემ ვერ მოახერხა მშვიდობიანი გზით გადაეწყვიტა ყველა საკამათო საკითხი და კომპრომისზე წასულიყო. რეზინის ტყვიები, რომლებიც გუშინ „რობოტებმა" მომიტინგეების წინააღმდეგ გამოიყენეს, საქართველოს მოხვდა გულში! სამწუხაროდ, დაგვიანებული აღმოჩნდა პარლამენტის თავმჯდომარის მოწოდება დიალოგისკენ.

„ახლა თითოეული ადამიანის სიმშვიდეზე, პასუხისმგებლობის გრძნობაზეა დამოკიდებული ბევრი რამ", — განაცხადა ქალბატონმა ნინომ ტელევიზიით გამოსვლისას, — „უნდა შევინარჩუნოთ სტაბილურობა, სიმშვიდე, ახლა არ არის დრო იმისა, რომ ერთმანეთს ულტიმატუმების ენით ველაპარაკოთ, ახლა არ არის იმის დრო, რომ კიდევ უფრო გამწვავდეს სიტუაცია. კატეგორიულად მინდა ყველას მოვთხოვო, შეწყვიტონ ყოველგვარი მოწოდებები აქციების განახლებისაკენ. ახლა ყველაზე სწორია საუბარი დიალოგის რეჟიმში გადავიდეს. დღეს ყველამ, ჩვენც, ხელისუფლების წარმომდაგენლებმაც და ოპონენტებმაც, არ უნდა გავახაროთ საერთო მტერი და არ უნდა გავაკეთოთ ისეთი რამ, რაც ქვეყნის საძირკველს შეარყევს".

შემდეგ მან თქვა, რომ დიალოგის რეჟიმი გაგრძელდება რთულ, მაგრამ კონსტრუქციულ ჩარჩოებში. „ყველას, ვისთვისაც ეს ქვეყანაა მნიშვნელოვანი და არა საკუთარი პოლიტიკური ამბიციები, მოვუწოდებ: ყველანაირი წყენა, აღშფოთება გვერდზე გადაიდოს და მუშაობა დავიწყოთ დიალოგის რეჟიმში! სახელმწიფო არის სახელმწიფო და მასთან უნდა ილაპარაკო სამართლებრივი ენით... ყველას ძალიან ვთხოვთ — მოგვეცით საშუალება, პოლიტიკური დიალოგის რეჟიმში ვიმუშაოთ. ეს არ არის თამაში. ქვეყანა დიდი და სერიოზული გამოცდის წინაშე დგას!"



**„პოლიტიკა კომპრომისების ხელოვნებაა" — ეს სიტყვები დღეს ხშირად გაისმის. ამ სიტუაციაში პოლიტიკოსებმა უნდა შეძლონ უფრო მეტი დათმონ, დათმონ პირადი ამბიციები და ბრძნული, აუჩქარებელი გადაწყვეტილებები მიიღონ ქვეყნისა და ხალხის სასარგებლოდ — ასეთია ყველა მოაზროვნე ქართველის აზრი.**

**ხათუნა ჩიგოგიძე**

◉ როცა ასეთი „დიალოგია"

## რაც რუსთაველზე მოხდა...

ქარცეცხლიანი დრო მხოლოდ ჟამთაალმწერთათვის არის საინტერესო, ხოლო თანამედროვეთათვის უბედურებაა.

ძალზე ცოდვა-ბრალიან დროში მოგვიწია ცხოვრება. წისქვილის ქვაც დატრიალდა ჩვენს თავზე. ყველაზე დიდი საშინელება ძმათა დაპირისპირება და ძმათა კვლა იყო და არის. გარეშე მტერი იმდენს რას დაგვაკლებდა, ერთ ნებად რომ შევდუღაბებულიყავით ჭეშმარიტად თავისუფალი, ძლიერი, მართლმადიდებელი საქართველოსთვის. სწორედ ერთმანეთის ჭამამ დაგვანela ისტორიულადაც და ახლაც თვალდათვალ ჩამოგვილია, გაგვიპარტახა სამშობლო; სწორედ ხის ჩივილია ჩვენზე, ცული იმდენს რას დამაკლებდა, ტარად ჩემი გვარისა რომ არ ეგოსო. „ტარი" კი „ჩვენია", მაგრამ ეს „ტარი", ღმერთმა უწყის, ვისი ინტერესებით ალესილ ცულის პირს უშენდა და უშენს სამშობლოს...

ყველაზე დიდი უბედურება კი ის არის, რომ ამდენმა ტკივილმა ვერც რა გვასწავლა და ვერცა რა შეგვაგნებინა. ნათქვამია, გონიერი კაცი სხვის შეცდომებზე სწავლობსო. ჩვენ კი ისეთი უგუნურნი აღმოვჩნდით, ჩვენივე შეცდომები ვერ გაგვისიგრძეგანებია, თუ პირადი ამბიციები და ინტერესები სძალავს ერისა და ქვეყნის სიყვარულს? მავანთა თავკერძობას ეწირება მომავალი?

სისხლი კი, ჩვეულებრივ, ისევ და ისევ ხალხმა უნდა გაიღოს...

7 ნოემბერს, გამთენიისას ლამენათევ მომიტინგეთა ჯგუფი და მოშიმშილეები აყარეს.

ოფიციოზის მტკიცებით, ეს მხოლოდ და მხოლოდ „გზის გაწმენდა" იყო, ოპოზიციის მტკიცებით, ხელისუფლების მორიგი ვანდალური აქტი. რაც ტელევიზიით ნაწყვეტ-ნაწყვეტ ვიხილეთ, ყველაფერი იყო, ბატონ უგულავასეული „გზის გაწმენდის" გარდა.

მომხდარით აღშფოთებული ხალხი მოსწყდა და პარლამენტის წინა ტერიტორიაზე დადგა. მომიტინგეთა რაოდენობა წუთი-წუთ მატულობდა. პარლამენტის კიბე და ტროტუარი ველარ იტევდა მოზღვავებულ ხალხს.

მომიტინგეებმა სავალი გზისკენ დაიხიეს და მყისვე პოლიციის ხელკეტებს გადააწყდნენ.

რაც მეტია დაწოლა, მეტია წინააღმდეგობაც. ხალხი, გაქცევის ნაცვლად, პოლიციას მიეტანა. ხელცარიელი გამოუცდელი ხალხი და ხელკეტების ხმარებაში გაწაფული სამართალდამცავები შეეჯახნენ ერთმანეთს. პირველხანობას პოლიციამ დაჯაბნა, მერე და მერე კი ხალხის რაოდენობის თვალდათვალ უსწრაფესი ზრდის გამო, იძულებული გახდა, ზურგი ებრუნა.

რუსთაველის პროსპექტი მთლიანად მომიტინგეებმა დაისაკუთრეს. მიტინგი გაგრძელდა.

ხელისუფლებამ მხოლოდ იმას მიაღწია, რომ 14 საათზე დაგეგმილი მიტინგი 10 საათზე დაიწყო.

აქტიურ ოპოზიციას მემარჯვენეებიც შეუერთდნენ. ისიც ითქვა, პოლიციის ნაწილი ჩვენს მხარეზე, ანუ ხალხის მხარეზე გადმოვიდაო, მაგრამ...

13 საათზე უკვე ველარავინ გაარჩევდა, პოლიციის სახელდობრ რომელი ნაწილი „გადავიდა ხალხის მხარეს". რაკი საპატრულო პოლიციამ ვერა გააწყო რა ხალხის ნებასთან, ხელისუფლებამ სპეციალური დანიშნულების რაზმები, წყლის ჭავლი, ცრემლმდენი გაზი და რეზინის ტყვიები მოიშველია

მგელიც კი ძნელად შევარდება ისე სისხლმოწყურებულად ფარეხში, წყლის ჭავლისა (ითქვა, რომ წყალი სპეციალურად გამოიყენეს, რათა გაზის მოქმედება გაეძლიერებინათო) და ყასიდი გაფრთხილების შემდეგ, — დაიშალეთ, ქალები, მოხუცები და ბავშვები გაარიდეთო, სპეცრაზმელები რომ შეიჭრნენ ხალხის რიგებში.

„სპეცნაზმა" სრულად გაამართლა მისი დამგეშავების იმედები. მიტინგი რომ დაარბიეს, იქვე, პარლამენტის წინ რომ გადაუარეს ხალხს, მერე ქაშუეთთან, ალექსანდრეს ბაღში, ჩიტაძის ქუჩაზე ნამდვილი ნადირობა გამართეს გათითოებულებზე. გაქცეულთა ნაწილმა პარლამენტს შეაფარა თავი. სცემეს ჟურნალისტებსაც.

მაგრამ ბევრი არ ეპუებოდა ამ ბარბაროსობას — ზედ ასკდებოდა საშინელებათა ფილმებში ნანახი მონსტრებივით აღჭურვილ ხელისუფლების „ხალხთან დიალოგის" განსახიერებებს.

პირველ შოკგავლილი მომიტინგეები ყოველგვარი პანიკის გარეშე, დინჯადაც კი მიუყვებოდნენ ქუჩებს და სინანულით იქნევდნენ თავს. ვინ ეცოდებოდათ? აი, ეს მათი მომწამლავ-დამრბევი ჯანიანი ბიჭები.

ნადირობა კი გრძელდებოდა...

მიტინგი რიყეზე გაგრძელდა, ოღონდ — მცირე ხნით. მალე მომიტინგეებს იქაც დაერივნენ ხელკეტებით, გაზით, რეზინის ტყვიებითა და წყლის ჭავლით...



**კოტე გურგენიძე**

№ 214. ხუთშაბათი, 8 ნოემბერი, 2007 წელი.

# აღდგარი ქვეყანა

**აქციის დარბევის შემდეგ სამედიცინო დაწესებულებებს 360-მდე პაციენტმა მიმართა, რომელთაგან 50 უკვე გაეწერა**

**ავი 7 ნოემბერი**

# მღელვარება სატელეფონო საუბრების ირგვლივ

**შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოპოზიციის ლიდერების სატელეფონო საუბრები და მათი შეხვედრების ჩანაწერები გაავრცელა. მასალებს შორის არის შალვა ნათელაშვილის, ლევან ბერძენიშვილის, კონსტანტინე და ცოტნე გამსახურდიების, გოგა ხაინდრავას საუბრები და შეხვედრების კადრები.**

შსს-ში აცხადებენ, რომ ოპოზიციის ლიდერები რუსეთის ფედერაციის საგარეო დაზვერვის სამსახურის თანამშრომლებთან კოორდინირებდნენ.

ოპერატიულ მასალებში რამდენიმე გვარი ფიგურირებს – მათ შორის სოკოლოვი, სოლომატინი და ვოლინკინი. იგორ ვოლინკინი, რომელიც შსს-ს მასალებში რუსეთის საგარეო დაზვერვის თანამშრომლად არის წარდგენილი, საქართველოში რუსეთის ელჩის თანაშემწეა.

ვოლინკინი, შსს-ს ცნობით, ე.წ. „კოლხურ კოშკში“ იყო მისული, სადაც კონსტანტინე და ცოტნე გამსახურდიები იყვნენ. ამის შემდეგ, მასალების მიხედვით, ცოტნე გამსახურდია მოსკოვში გაემგზავრა, საიდანაც ტელეფონით შალვა ნათელაშვილს და კონსტანტინე გამსახურდიას ელაპარაკებოდა. იგი ოპოზიციის ლიდერებს საყვედურობდა, რომ მათ ვერ შეძლეს ხალხის მართვა და 150 ათასი კაცის მეშვეობით არაფერი განახორციელეს.

მას შემდეგ, რაც გავრცელდა ოპოზიციის ლიდერების ჩანაწერები, სადაც ისინი რუსეთის სამხედრო მაღალჩინოსნებს ესაუბრებიან, უმრავლესობის წარმომადგენლები აქცენტს უკვე ამ ჩანაწერებზე აკეთებენ და აცხადებენ, რომ ამის შემდეგ უკვე ნათელია ოპოზიციის მიზნები.

მათი თქმით, ჩანაწერები იმის საფუძველს იძლევა, რომ ამ პირების მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრას, თუმცა ისინი ვერ აკონკრეტებენ, როგორ მოიქცევიან სამართალდამცავები.

ასეთი კომენტარი გააკეთა გიგა ბოკერიამ. უმრავლესობის მხრიდან აქცენტი კეთდება იმაზე, თუ რა მიზნები ჰქონდა ოპოზიციას რეალურად.

ყველაზე ემოციური გამოსვლა ჰქონდა გივი თარგამაძეს. მან გაიხსენა ისიც, რომ ეს ადამიანები ხელისუფლებას ლუსტრაციის კანონის მიღებას სთხოვდნენ, თავად კი „ქვეყნის მტრების მეკავშირეები“ ყოფილან.

**რაც შეეხება დიალოგის გაგრძელებას, ბოკერია აცხადებს, რომ დიალოგი გაგრძელდება ოპოზიციის მხოლოდ იმ წარმომადგენლებთან, რომლებიც არიან მოტყუებულნი და ისინი არ არიან უშუალოდ დაკავშირებული რუსეთის სამხედრო მაღალჩინოსნებთან.**



**კომენტარი**

## გიორგი ჩხეიძე:

# „მომიტინგეთა დაშლის არანაირი კანონიერი უფლება არ ჰქონდათ“

**ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ გიორგი ჩხეიძემ განაცხადა, რომ კანონით, ნებისმიერ ჩვენგანს თავისუფლად შეუძლია როგორც ჭერქვეშ, ისევე გარეთ გამოთქვას თავისი აზრი.**

გიორგი ჩხეიძის აზრით, ყოველგვარი ძალა მისაღწევი მიზნის პროპორციულად უნდა გამოიყენებოდეს.

„რა მიზანი ჰქონდა ძალის გამოყენებას? ტელევიზიით ვნახეთ – ხელკეტები, წყლის ჭავლი და ცრემლსადენი გაზი, რაც ყველაზე მეტად აღმაშფოთებელია. ერთია, რა მიზნით იყენებ ძალას – ქუჩის გასანთავისუფლებლად, ტრანსპორტის მოძრაობისთვის, მაგრამ მეორეა, ცრემლსადენი გაზის გამოყენება. უწინარესად, როგორც ადამიანი და შემდეგ იურისტი მოვლენებს ასე ვაფასებ – ცრემლსადენი გაზი მხოლოდ მაშინ უნდა გამოიყენო, როცა დემონსტრატები ძალადობას მიმართავენ. დილიდან პარლამენტის შენობის წინ ვიდექი და მომიტინგეები არანაირ ძალას არ მიმართავენ“.

გიორგი ჩხეიძის აზრით, საქართველოს კონსტიტუცია და კანონი ნებისმიერ მოქალაქეს აძლევს უფლებას, ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე პარლამენტის წინ შეიკრიბოს, თუმცა ქუჩის გადაკეტვა არ იგულისხმება.

სხვადასხვა სახელისუფლებო ორგანოს წარმომადგენლების ყველა კომენტარი მოვისმინეთ. თუ ძალიან ბევრი ხალხი მოვიდოდა, შესაძლებელი იყო ქუჩის გადაკეტვაო. ვერ უარყოფენ, მერედა, ხომ მივიდა იმდენი ხალხი?

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ის შეტყობინება, რაც აქციის ორგანიზატორებმა თავის დროზე ოფიციალურად შეიტანეს მერიაში, დღევანდელ დღეზეც ვრცელდებოდა. პარლამენტის წინ მომიტინგეთა დაშლის არანაირი კანონიერი უფლება პოლიციას არ ჰქონდა. ეს დანაშაულია, რასაც რეაგირება უნდა მოჰყვეს და ამის ჩამდენი ყველა პირი დაისაჯოს“.

**ნატა ნიბლაძე**

# მოიწვიეთ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა!

**გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) უშიშროების საბჭოს საქართველოს გაერთიანებული ოპოზიცია საგანგებო სხდომის მოწვევას სთხოვს.**

ამის შესახებ რიყეზე გამართულ აქციაზე ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, უშიშროების საბჭომ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებიდან ჩამოშორების საკითხი უნდა განიხილოს.

„როგორც მოათრიეთ სააკაშვილი, ისე წაათრიეთ“, – განაცხადა ნათელაშვილმა.



# რუსთაველზე მცხოვრები მოქალაქეებიც მოიწამლნენ

**რუსთაველის გამზირის მიმდებარე ქუჩებზე მცხოვრები ადამიანებიც მოიწამლნენ.**

როგორც სასწრაფო დახმარების ექიმები აცხადებენ, სასწრაფო დახმარების გამოძახებები მთაწმინდიდან და სოლოლაკიდან დაფიქსირდა.

ის ადამიანები, პარლამენტის მიმდებარე ქუჩებზე ცხოვრობდნენ და სახლში იმყოფებოდნენ, ძლიერ თავის ტკივილს, გულისრევის შეგრძნებასა და ჰაერის უკმარისობას უჩივიან.

# სამედიცინო დაწესებულებები დაზარალებულებითაა სავსე

**აქციის დარბევის შემდეგ სამედიცინო დაწესებულებებს 360-მდე პაციენტმა მიმართა, რომელთაგან 50 უკვე გაეწერა.**

ჯანდაცვის მინისტრმა დავით ტყეშელაშვილმა გუშინ სამინისტროში საგანგებო ბრიფინგი გამართა, რომელსაც სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა ქაცარავა და თსუ-ს კლინიკის ტოქსიკოლოგიის განყოფილების გამგე სოსო კუტუბიძე ესწრებოდნენ.

მინისტრის განცხადებით, იმ მომენტისთვის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფებოდა 80-მდე პაციენტი, I კლინიკურ საავადმყოფოში – 25, მიხაილოვის სახელობის საავადმყოფოში – 110, ბარნოვის სახელობის ჰოსპიტალსი – 6, ღუდუშაურის საავადმყოფოში – 17, ალადაშვილის სახელობის კლინიკურ საავადმყოფოში – 11, 31-ე საავიაციო ქარხნის საავადმყოფოში – 1, მე-9 საავადმყოფოში – 5 ადამიანი.

აღნიშნული რაოდენობიდან, მხოლოდ ერთეული შემთხვევაა ტრავმის, დანარჩენი ცრემლსადენი გაზით არის მოწამლული.

ტყეშელაშვილის თქმით, მომხდარის გამო სამინისტრო მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადადის. შექმნილია ოპერატიული შტაბი და მოსახლეობა პერიოდულად მიიღებს ინფორმაციას სამედიცინო დაწესებულებებში მყოფთა შესახებ. მობილიზებულია სასწრაფო დახმარების სამსახური და ყველა სამედიცინო დაწესებულება.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკის ტოქსიკოლოგიის განყოფილების გამგის სოსო კუტუბიძის განცხადებით, აქციაზე გამოყენებული ცრემლსადენი გაზი იწვევს ლორწოვანი გზების გაღიზიანებას, ცრემლდენასა და ხუთვის შეგრძნებას. დაახლოებით, 20-25 წუთის შემდეგ გაზი უკვალოდ გამოდის ორგანიზმიდან და ადამიანისთვის რაიმე საფრთხეს არ წარმოადგენს.

კუტუბიძემ ასევე აღნიშნა, რომ ცრემლსადენი გაზი საფრთხის შემცველია იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც გულსისხლძარღვთა დაავადებები აღენიშნებათ. ასეთ პაციენტებში აღნიშნულმა გაზმა, შესაძლებელია, გართულებები გამოიწვიოს.

## რამაზ საყვარელიძე:

# ხელისუფლებას ნერვებმა უმტყუნა

***ექსპერტ რამაზ საყვარელიძის აზრით, სამწუხაროდ, ხელისუფლებამ დარბევის გარდა ხალხთან სალაპარაკო სხვა ენა ვერ გამონახა.***

**– თქვენ განაცხადეთ, რომ ყველაფერი დამოკიდებული იყო დროში გამძლეობაზე. ამ დროს ხელისუფლებამ ვერ გაუძლო?**

– შეიძლება ითქვას, რომ მას ნერვებმა უმტყუნა.

**– როგორია თქვენეული პროგნოზი. რა მოხდება?**

– ძალიან ძნელია რაიმე პროგნოზი, მით უფრო, როდესაც დიალოგი არ მიმდინარეობს, ჭიდაობის რეჟიმია. დანარჩენს უკვე წყვეტს ის, ვინც უფრო გამძლე აღმოჩნდება ამ რეჟიმში.

**– ელოდით ხელისუფლებისგან მოშიმშილეთა დარბევას?**

– სიმართლე გითხრათ, არა.

საყვარელიძის აზრით, პროცესი კიდევ უფრო უმართავი და მძაფრი გახდება.

ეს ინტერვიუ დილით, მოშიმშილეთა აყრის შემდეგ ჩავწერეთ. რეზინის ტყვიებით, წყლის ჭავლითა და ცრემლსადენი გაზით მომიტინგეები ამის შემდეგ დაარბიეს. ჭიდაობის რეჟიმში ხელისუფლება „გამძლე“ აღმოჩნდა პოლიციით და საკუთარი ხალხის სამარცხვინო დარბევით. **„ეს მხოლოდ როდიონოვმა ჩაიდინა, რცხვენოდეს საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას“, – ასეთი იყო საზოგადოებრიობის პირველი რეაქცია 7 ნოემბრის მშვიდობიანი მანიფესტაციის დარბევაზე.**

**თამარ შაიშმელაშვილი**

# ადუღებული დრო

**მაშინ, როდესაც საზოგადო საქმე „ვარდების რევოლუციით“ წყდებოდა, ავყევით და გავყევით თუ არა მხოლოდ შიშველ სიტყვას? იმაზე კი, აქამდე ვინ რა ნამოქმედარით იყო მოსული, არც კი გვიფიქრია. არჩევანიც ასევე გავაკეთეთ. მომიტევეთ და „პოსლეზე“ ხომ არ ვენდეთ მავანთ და მავანთ? ახლა კი გვიკვირს, „გადაგვაგდესო“?**



№ 214. ხუთშაბათი, 8 ნოემბერი, 2007 წელი.

**განსჯა**

# ხელისუფლებას „პოსლეზე“ არ ვენდობით

**კარგა ხანია კალამი არამილია ხელში, კარგა ხანია ვდუმვარ. არა იმიტომ, რომ არაფერი მაქვს სათქმელი, ან ზოგიერთივით ბუჩქებიდან ვიმზირები და ზურგსუკან ორ დროშას ვმალავ, რათა დროისა და ვითარების შესაბამისად ავაფრიალო ერთი ან მეორე, არამედ იმიტომ, რომ ჩემი პროფესიის დანიშნულებიდან გამომდინარე, იმ პასუხისმგებლობის სიმძიმე ვიცი, რომელიც საკუთარი სიტყვის გამო მეკისრება.**

ჟურნალისტი, ძირითადად, სიტყვის მსახურია. და, თუ მას რაიმე ევალება, უწინარეს ყოვლისა, თქმის ოსტატობაა, ანუ — რა თქვას, რატომ თქვას, როგორ თქვას და როდის თქვას. ჟურნალისტს ემოციებზე აყოლა არ ეგების, იგი ცივი გონებით უნდა სჯიდეს, რათა მართებულ დასკვნამდე მივიდეს. და, რაც მთავარია, იცოდეს, რისთვის იბრძვის და რას აძლევს ეს ბრძოლა მის ქვეყანას, ხალხის სულსა და ზნეობას.

დღეს სიტყვა შეურაცხყოფილია. მას მხოლოდ განკითხვის, განქიქების და დაკნინების ფუნქცია აკისრია. სულმნათ აკაკის ნათქვამს მოვიშველიებ: „ნუთუ შეუძლებელია, ერთის ქება ისე, რომ მეორე არ გაილანძღოს, ერთის ამაღლება მეორის დაუმდაბლებლად? სადღაა ძველებური დარბაისლობა, ზრდილობა, რიგიანი ტკბილ-ქართულობა, ავ-კარგის გარჩევა და ადამიანურობა? დღეს თავხედობა და კუდაბზიკობა კაცობის ნიშნად მიგვიჩნევია, უზრდელობა, კი განათლებად?“

დიახ, საიდან ამდენი და ასეთი „ბილწებისა ღვართაი?“

საიდან და...

გავიხსენოთ: „ვარდების რევოლუციაში“ ეპიზოდური როლის შემსრულებელსაც კი თანამდებობრივ სავარძელში ჯდომის პრეტენზია გაუჩნდა. ბევრმა აისრულა კიდეც ეს ამბიცია ისე, არც კი დაფიქრებულა, იყო კი იგი საჭირო ადგილზე? ჰოდა, რაც დღეს საქართველოში ხდება, სწორედ შემთხვევითი ადამიანების შეუფერებელ თანამდებობებზე მოსვლა-წასვლით არის განპირობებული. ეს რომ ტრაგედია იყო, რევოლუციიდან ძალიან მალე მიხვდა ხალხი. მიხვედრილობას მიუხვდნენ ხელისუფალნიც და ფარად „შიშის სინდრომი“ აიფარეს, რომლის ჩანერგვაც ხალხში ყველანაირი ხერხით დაიწყეს. ამით კი გვითხრეს: ითმინეთ სიდუხჭირე და უკეთესი ხვალის მოლოდინით თვალებში შემოგვციცინეთო. მათ კი, ცდუნებამ რომ არ სძლიოთ, თურმე ყველაფერი თავსაყრელად უნდა ჰქონდეთ. შენ კი, ცეროდენა პენსიის ანაზარად დარჩენილმა, უმუშევარმა თუ დავრდომილმა, „ვირის აბანოში“ რომ არ გიკრან თავი, კრინტიც არ უნდა დასძრა, მათ კი, სიმაძღრისგან გულს ეყრებოდეთ. სხვაგვარად როგორ ვთქვა, ზოგიერთ დღევანდელ პოლიტიკოსთა მსმენელ-შემხედვარემ?

ვიცი, ზღვაში რომ გემის მესაჭეს უნდა დაემორჩილო, ცხოვრებაში კი — სხვებზე უფრო გონებადამჯდარ ადამიანს, მაგრამ ამ ხელისუფლებამ სწორედ ეს გონებადამჯდარნი რომ გააზეძმეტა?

ერთი სიტყვით, გონიერთ, გონიერებას, სწავლა-განათლებასა თუ გამოცდილებას ყავლი გაუვიდაო.

კეთილი, ბატონებო, მაგრამ სხვისა რა მოგახსენოთ და მე კი, სატელევიზიო არხებზე ერის ბედზე მოტირალ ხელისუფალთ რომ ვუმზერ და ვუსმენ, ფრანგი მწერლის ემილ ზოლას ნათქვამი მახსენდება; „მე მძაგს ეს მოლაზღანდარე, ჯერაც რძეშეუშრობელი ყმაწვილკაცები, ვისაც არაფერი სცხიათ დინჯი, დარბაისელი მამებისა და ახლა ისღა დარჩენიათ, კბილები კრიჭონ...“

გვიან ვხვდებით: წუთისოფელი მეტისმეტად მოკლეა საიმისოდ, რომ შენი ნამცეცა მიღწევებით, ბედის გაღიმებით რომ გერგო, მეორე ადამიანს თავი გადაამეტო, მით უფრო, მთელ ერს.

ხომ განაპირობა დღევანდელი პრეზიდენტის პარტიის გამარჯვება, ანუ ხალხის მხარდაჭერა იმანაც, რომ ამ გუნდს **„ნაციონალური“** ჰქვია? განაპირობა, რადგან სიტყვა „ნაციონალური“ ერსაც და პიროვნებასაც აერთიანებს. ამით კი ხალხს არაცნობიერი იმპულსი მიეცა, რომ ეს გუნდი ერისა და პიროვნების დაცვაზე იზრუნებდა. რა მივიღეთ? წინა პლანზე — ადამიანის უფლებების დაცვა (ეს კიდევ საკითხავია), ერი კი, ცნობიერად ნაკლებპატივცემულია. რატომ? ამაზე ჯერ კიდევ 2005 წლის 8 ივლისს წერდა ჩვენი გაზეთი. მაშინ ჩემთან ინტერვიუში **საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, ფსიქოლოგმა შოთა ნადირაშვილმა** ბევრი ისეთი საგულისხმო რამ თქვა, რომლის განმეორება დღესაც უპრიანი იქნებოდა, მაგრამ ამჯერად ინტერვიუს ერთ მონაკვეთს გავიხსენებ:

**— ჰქონდა თუ არა საქართველოს დღევანდელ პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს გაცნობიერებული, რას ავალდებულებდა მას თავისი პარტიის დასახელება, „ნაციონალური“?**

— არა მგონია, თუნდაც იმიტომ, რომ, რასაც ის აკეთებს თავისი ბუნებით იმ იდეოლოგიას არ შეესაბამება, რაც ამ სიტყვაში დევს. თუმცა თავის გამოსვლებში ხაზს მკვეთრად უსვამს სიტყვა „ხალხს“: „მარტო ჩემი დამსახურება კი არ არის, არამედ მთელი ქართველი ხალხის“, „საამაყოა, რომ ქართველები ვართ“ და ა.შ. ამ დროს ჩვეულებრივ ურთიერთობებში ქართველ ხალხს ვინ უსმენს? მაგრამ ხომ ამბობს! და ამბობს იმიტომ, რომ იცის, ამით ხალხის გულს მოიგებს, მაგრამ იმდენად არ არის გაცნობიერებული, საზოგადოებისა და ერის დაკავშირება უჭირს. არადა, ერებს, ეროვნებასა და საზოგადოებას, მართლაც, სჭირდება დაცვა და მათ მიმართ ვალდებულება ჩვენ გაცნობიერებული უნდა გვქონდეს.

ეს იყო ცნობილი ფსიქოლოგის პასუხი, რომელმაც მაშინ, ორი წლის წინათ ისიც მითხრა: სიძნელეები ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებას ვებრძოლოთ. ჩვენ დანაპირების შესრულება უნდა მოვითხოვოთ. უნდა ვუთხრათ, — ხელისუფალო, შენ ხარ ის ადამიანი, ვინც ერმა თავის პერსონად წარმოგადგინა, და ვალდებული ხარ, შინ თუ გარეთ წარსდგე არა პირადი, არამედ ერის ინტერესებით, დაიცვა მისი უფლებები, ანუ შესძლო მთელი ერის ინტერესთა პერსონიფიცირება. თუ ამას ვერ ახორციელებ, მაშინ ერს უჩნდება პროტესტის გრძნობა და საზოგადოება იწყებს ისეთი ადამიანის ძებნას, რომელიც დაიცავს არა მხოლოდ თითოეულ პიროვნებას, არამედ ერსა და ეროვნულობას.

დღეს, როცა ასე მძიმე ვითარება შეიქმნა ქვეყანაში, როცა ლამის ქვიშაზე გარიყულ თევზებს დავემსგავსეთ, იმის შეგრძნებამ კი, რომ შექმნილ ვითარებას უნდა შევეგუოთ, რადგან ვერნაირი პროტესტით ვერაფერს ვცვლით, გარდა იმისა, რომ საკუთარ გულს ვასკდებით, ის კი, ვისი მისამართითაც ვჩივით, მისი უდიდებულესობა — ხელისუფლება ყურს იყრუებს და ვინც რა უნდა თქვას, ჩემმა წისქვილმა კი ფქვავსო, პრინციპზე დგას, კონკრეტული უკმაყოფილება ერთიან სახალხო პროტესტად იქცა. სამწუხაროდ, ამ ფორმით ცდილობს დღეს ხალხი უთხრას ხელისუფლებას, რომ ადამიანებს, რომელთაც დამსახურებულად თუ დაუმსახურებლად წილად ხვდათ უფლება — განგეგოთ ხალხის ბედი, არა მხოლოდ უფლებები აქვთ, არამედ — მოვალეობებიც. ორივე ერთად კი ავალდებულებთ, იცოდნენ, რა არის სასიკეთო არა მხოლოდ პირადად მათთვის, არამედ, საერთოდ, ადამიანებისთვის. დღემდე ხომ საზოგადოებას, ერს სასიკეთო ბევრი ვერაფერი დასტყობია. ისე, გულზე ხელი დავიდოთ და ვაღიაროთ: მაშინ, როდესაც საზოგადო საქმე „ვარდების რევოლუციით“ წყდებოდა, ავყევით და გავყევით თუ არა მხოლოდ შიშველ სიტყვას? იმაზე კი, აქამდე ვინ რა ნამოქმედარით იყო მოსული, არც კი გვიფიქრია. არჩევანიც ასევე გავაკეთეთ. მომიტევეთ და „პოსლეზე“ ხომ არ ვენდეთ მავანთ და მავანთ? ახლა კი გვიკვირს, „გადაგვაგდესო“?

მაინც რამდენი სიბინძურე და უაზრობა უნდა გამოვიაროთ, რომ ჭეშმარიტება შევიცნოთ და სწორ გზას დავადგეთ?

**როდესაც საზოგადოება ნელა, წყნარად და დინამიურად ვითარდება, ადამიანიც მშვიდად ეგუება გარემოს და ცდილობს ფეხი შეუწყოს საზოგადოებას, მაგრამ, როდესაც რევოლუცია ხდება, ან ხელისუფალი დიქტატორია, ეს ურთიერთობა ირღვევა და ადამიანები რთული ამოცანების წინაშე დგებიან. უწინარეს ყოვლისა, მათ უწევთ, დაიცვან თავი და იბრძოლონ არსებობისთვის. სწორედ რომ არსებობისთვის ბრძოლა ჰქვია დღეს ამ საერთო სახალხო პროტესტს, რომლის კეთილი ბოლო მხოლოდ გონიერებაზეა დამოკიდებული, და ღმერთმა დაგვიფაროს საუკუნეების მანძილზე სიბრძნით გამორჩეული და გადარჩენილი ქართველი ერი, გონიერებითაც გალატაკებული აღმოჩნდეს.**

**არადა, მაშ რა მოხდა გუშინ რუსთაველზე?..**

**რუსუდან ლორთქიფანიძე**

**გუშინ, რუსთაველზე**






# მზერა გამზირიდან

• ხელისუფლებისთვის რაიმეს მოთხოვნა უკვე აზრს კარგავს, ამიტომ მხოლოდ ერთს მოითხოვს მათგან, ხელისუფლება სახლში წავიდეს



## ◎ კომენტარი

# „9 აპრილი ამისგან განსხვავებით ანგელოზების დღე იყო“

ქართველ ხალხს თავისი უფლებები კიდევ ერთხელ შეელახა — ასე აფასებს მუსიკოსი ზაზა კორინთელი რუსთაველის გამზირზე განვითარებულ მოვლენებს.

მისი განცხადებით, ამ შემთხვევაში არც ხელისუფლება და არც ოპოზიცია ქართველი ხალხის უფლებებს არ იცავენ.

„ქართველი ხალხი კიდევ ერთხელ დარჩა საკუთარი უფლებების დაცვის გარეშე, ხალხს არ იცავს არც ერთი მხარე და ამ ეტაპზე სიმშვიდის გარდა არაფერი გვიშველის, ხალხის სატკივარი უკვე ყველამ გაიგო და დადგა გონივრული გადაწყვეტილებების დრო, რომელიც პოლიტიკოსებმა უნდა მიიღონ“, — განაცხადა ზაზა კორინთელმა.

მწერალი ოტია იოსელიანი რუსთაველის გამზირზე განვითარებულ მოვლენებს წყალტუბოდან ეხმაურება, ოტია იოსელიანი აღნიშნავს, რომ გაზისა და წყლის გამოყენება ტყვიის სროლის ტოლფასია.

„ამ დასაქცევ მთავრობას ბარემ ტყვია ესროლა შიშველი ხელებით მყოფი ხალხისთვის

გზის გადაკეტვისთვის რომ ათასობით ადამიანებს მოწამლავენ, ამის შემდეგ რა ხელისუფლების არსებობაზეა საუბარი, შიშველი ხელებით მყოფ ხალხს ხელისუფლება წყლით ებრძვის და წამლავს“, — აცხადებს ოტია იოსელიანი.

მისი თქმით, ხალხი თუ მოინდომებს, შესაძლოა, მთელი სახელმწიფო გადაკეტოს.

რუსთაველის გამზირზე მომხდარი დარბევა რეჟისორ გიგა ლორთქიფანიძეს 9 აპრილის ღამეს აგონებს.

„მომხდარს 9 აპრილს ვადარებ, თუმცა 9 აპრილი ამისგან განსხვავებით ანგელოზის დღე იყო, რადგან მაშინ ხელისუფლებაში არ იყვნენ სააკაშვილები, ბოკერიები, პოლიცია კი ხალხის გვერდით იდგა,“ — აცხადებს გიგა ლორთქიფანიძე „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბარში.

მისი თქმით, ხელისუფლებისთვის რაიმეს მოთხოვნა უკვე აზრს კარგავს, ამიტომ მხოლოდ ერთს მოითხოვს მათგან, ხელისუფლება სახლში წავიდეს.

რაც შეეხება მიტინგებს, გიგა ლორთქიფანიძე მიიჩნევს, რომ სიმართლის მიღწევამდე საქართველოში ეს პროცესები უნდა გაგრძელდეს და ხალხმა თავისი პროტესტი მიტინგით გამოხატოს.



## ◎ თემიდა

# ჯარიმა აკმარეს

**გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს გოგა ხაინდრავას თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიამ 500-ლარიანი ჯარიმის გადახდა დააკისრა.**

როგორც პროცესის დასრულების შემდეგ გოგა ხაინდრავამ აღნიშნა, მას მოუხსნეს პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის, წვრილმანი ხულიგნობის ბრალდება და მხოლოდ ნარკოლოგიურ შემოწმებაზე უარის თქმაში დაადანაშაულეს.



მისივე თქმით, სამართალდამცავებმა მისი ბრალეულობის დამადასტურებელი ვერც ერთი მტკიცებულება ვერ წარმოადგინეს.

გოგა ხაინდრავას ინფორმაციით, თავად სამართალდამცავები შორს იმყოფებოდნენ ინციდენტის ადგილიდან და მათაც ვერ შენიშნეს, რა დაარღვია გოგა ხაინდრავამ.

მან სააკაშვილის ხელისუფლებას ტერორისტი უწოდა და აღნიშნა, რომ ყველა, ვინც მონაწილეობა მიიღო დარბევაში, უმკაცრესად იქნება დასჯილი და მათ ნილბები ვერ უშველის.

რაც შეეხება ნარკოლოგიურ გამოკვლევაზე უარის თქმას, მან ამის მიზეზად ხელისუფლებისადმი უნდობლობა დაასახელა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განიხილა პარლამენტის წინ დაკავებული აქციის 5 მონაწილის საქმე.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ზურაბ ბეშქენაძეს, დავით ბექაურს, იოსებ ჩომახაშვილს და ზურაბ მარაქველიძეს პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევაში ედავებოდა. სასამართლომ მათ 400-ლარიანი ჯარიმა შეუფარდა.

რაც შეეხება ელიზბარ ბასიშვილს, მას შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სამი მუხლის დარღვევაში ედავებოდა.

45-ე მუხლი (ნარკოტიკების მოხმარებაძ, 166-ე მუხლი (წვრილმანი ხულიგნობაძ და 173-ე მუხლი (სამართალდამცავი ორგანოებისათვის წინააღმდეგობის გაწევაძ. ბასიშვილმა სამედიცინო შემოწმებაზე უარი განაცხადა.

სასამართლომ მიიჩნია რომ 173-ე მუხლის დარღვევა, ანუ სამართალდამცველებისთვის წინააღმდეგობის გაწევა არ დასტურდებოდა და ეს მუხლი მოუხსნა, ხოლო 166-ე მუხლის დარღვევისათვის 100-ლარიანი ჯარიმა შეუფარდა.

დაშავებულები არიან საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტები სოფო მდინარაძე, გიგა მაქარაშვილი და ლიკა ხურციძე, ასევე ოპერატორი გოგიტა ხარებავა. ისინი საავადმყოფოში არიან გადაყვანილი.

## ◎ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“

# მხარეებს დიალოგისკენ მოუწოდებენ

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“, რომელიც წარმოადგენს „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ — მსოფლიოში კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოებრივი ორგანიზაციის — ეროვნულ ბიუროს მიმდინარე პროტესტის ფონზე მხარეებს დიალოგისკენ მოუწოდებს და მხარს უჭერს არჩევნებს და არა რევოლუციებს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ ნატოსაკენ სვლის პარალელურად, საქართველოს მთავრობამ საზოგადოებასთან დიალოგი უნდა გააძლიეროს.**

დემონსტრაციის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ პროტესტი მთავრობისათვის ხმის მიწვდენის ერთადერთი გზაა. მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციის ლიდერები ხაზს უსვამენ აქციის მშვიდობიან ხასიათსა და მოვლენების კონსტიტუციური ჩარჩოების ფარგლებში წარმართვის აუცილებლობას, მთავრობის არაადეკვატურმა რეაქციამ სიტუაცია დაძაბა. მომიტინგეებმა თავიანთი მოთხოვნები გაზარდეს და უკვე პრეზიდენტის გადადგომასაც ითხოვენ. დიალოგის არარსებობით გამოწვეული იმედგაცრუება, მიმდინარე დემონსტრაციები, უპირველს ყოვლისა, იმაზე მიუთითებს, რომ სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების მქონე ადამიანები გამოთიშული არიან ქვეყნის პოლიტიკის განხილვა-შემუშავების პროცესს, ასე ფიქრობს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოში“, მიუხედავად მთავრობის განცხადებებისა, რომ იგი მზადაა დიალოგისათვის, მომიტინგეთა ასეთი დიდი რაოდენობა იმას ადასტურებს, რომ მოსახლეობა უკმაყოფილოა ამ პროცესში თავისი ჩართულობის ხარისხით. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ გამგეობის თავმჯდომარის მარკ მალენის განცხადებით, „ვარდების რევოლუციამ“ გააერთიანა საქართველო. სწორედ ამიტომ იყო ის განსაკუთრებული. რევოლუციის შემდეგ კი მთავრობამ საზოგადოებასთან დიალოგი შეზღუდა და ბევრი დაინტერესებული ადამიანი დატოვა საქართველოს განვითარებისა და რეფორმირების პროცესის მიღმა.

ისეთი ახლადშექმნილი დემოკრატიისათვის, როგორიც საქართველოა, აუცილებელია, ქვეყანამ საკუთარი მომავალი არჩევნების და არა ახალი რევოლუციის გზით განსაზღვროს. ამის მიღწევა შესაძლებელია დემოკრატიის სამ ძირითად ასპექტზე დაყრდნობით. ესენია: გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ პროცესში საზოგადოების ჩართვა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორის თამარ ქაროსანიძის განცხადებით, „საზოგადოების ჩართულობა გადამწყვეტი მნიშვნელობის საკითხია. ხალხთან, ოპოზიციურ ჯგუფებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან დიალოგი უნდა სცდებოდეს მხოლოდ მიღწევებზე საუბარს, ის სხვადასხვა ჯგუფების პრობლემების განხილვას უნდა მოიცავდეს და შედეგების კონსენსუსის გზით მიღწევას უნდა ისახავდეს მიზნად.“ ახლა საქართველოს მთავრობის პასუხისმგებლობაა, უზრუნველყოს იმ დიალოგის გამართვა, რომელსაც მისგან ითხოვენ. ამ ნაბიჯით ხელისუფლება დაამტკიცებს, რომ საქართველო სტაბილური დემოკრატიაა, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ნატოში გაწევრიანებისა და მისი მომავალი ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებისათვის.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოში“ აცხადებენ, რომ ორგანიზაცია მიზნად ისახავს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ამაღლების გზით ქვეყანაში კორუფციის დონის შემცირებას და საქართველოს ძლიერ დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ხელშეწყობას: **„ჩვენი მისიაა, ვიყოთ ძირითადი წყარო საქართველოში ანტიკორუფციული რეფორმების საკითხებთან დაკავშირებით, ხელი შევუწყოთ საქართველოს მთავრობასა და ფართო საზოგადოებას ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და გაძლიერებაში და იმ სფეროების რეფორმირებაში, რომლებშიც კორუფციაა გავრცელებული.“**

**ოლღა ცისკარიშვილი**

## ჩვენ

● ნოლაიდელი მთავრობის მიერ გატარებულ ქმედებებს გამართლებულად მიიჩნევს და აცხადებს, რომ მომიტინგეებისაგან რუსთაველის გამზირი უნდა გაწმენდილიყო



◎ ვინ - როგორ

# მოვლენებს მშვიდად უყურებენ

**რუსთაველის გამზირზე დასავლეთში შექმნილი ცრემლსადენი გაზი იქნა გამოყენებული, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოლაიდელმა განცხადება.**

ნოლაიდელის განმარტებით, ჯანდაცვის მინისტრმა დავით ტყეშელაშვილმა სათანადო დავალება უკვე მიილო და ის სამინისტროდან რუსთაველზე დაშავებულების საავადმყოფოში გადაყვანას კურირებს.

ნოლაიდელი მთავრობის მიერ გატარებულ ქმედებებს გამართლებულად მიიჩნევს და აცხადებს, რომ მომიტინგეებისაგან რუსთველის გამზირი უნდა გაწმენდილიყო.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია რუსთაველის გამზირზე აქციის დარბევას ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან სამართლებრივ ქმედებას უწოდებს და აცხადებს, რომ მსგავსი მოქმედება ცივილიზებულ და დემოკრატიულ ქვეყნებშიც ხდება.

„მინდა ყველამ იცოდეს, რომ სამწუხაროდ ასეთი რამეები ხდება არა მარტო თბილისში, არამედ ბევრი დემოკრატიული ქვეყნის დედაქალაქშიც და ეს ყველამ ვიცით. სამწუხაროა, რომ აქამდე მივიდა ეს ყველაფერი, მაგრამ ყველამ გავაანალიზოთ არა მხოლოდ ზედაპირული ემოციებით, არამედ რეალური ფაქტებით", — განაცხადა ბოკერიამ.

მისივე ინფორმაციით, ცრემლსადენი გაზი, რომელიც რუსთაველის გამზირზე გაუშვეს, სრულიად უსაფრთხოა.



უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი მაია ნადირაძე აცხადებს, რომ შეუძლებელი იყო ქვეყანას იმ რეჟიმში ემუშავა, როგორშიც მუშაობდა.

„ევროპელი კოლეგები უკვე გვეუბნებოდნენ, რომ კარგია ქვეყანაში დემოკრატია, სიტყვის თავისუფლება, მაგრამ გზის გადაკეტვა დიდხანს არ შეიძლება გაგრძელდეს" — აცხადებს ნადირაძე. იგი დასძენს, რომ ეს იყო ერთგვარი მინიშნება, რომ აქციების დიდხანს გაგრძელება არ შეიძლება.

„დემონსტრაციები ხუთი დღის განმავლობაში გრძელდებოდა. ოპოზიციას მიეცა საშუალება პოზიცია გამოეხატა. გზის დიდი ხნით გადაკეტვა აღარ შეიძლებოდა", — აცხადებს ნადირაძე.

ამავე აზრს იზიარებენ განათლების მინისტრი კახა ლომაია და სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე.

# ჟურნალისტების ყველგან ეშინიათ

**ოთხი ჟურნალისტი, რომელიც ბათუმში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ორგანიზებულ სემინარზე მიემგზავრებოდა, პოლიციამ რიკოთის უღელტეხილთან დააკავა და გზის გაგრძელების საშუალება არ მისცა.**

ამის შესახებ ერთ-ერთმა დაკავებულმა, გაზეთ „რეზონანსის" ჟურნალისტმა ნინო მიქიაშვილმა განაცხადა.

„რიკოთის უღელტეხილთან მიკროავტობუსი, რომელიც დონორი ორგანიზაციის მიერ არის დაქირავებული, პატრულმა გააჩერა და ჩვენი და მძღოლის საბუთების შემოწმების შემდეგ გაგვიშვა. მცირე მანძილის გავლის შემდეგ ორმა საპატრულო მანქანამ ისევ გაგვაჩერა და მძღოლს განუცხადეს, რომ მას ჯარიმა არ აქვს გადახდილი", — განაცხადა ნინო მიქიაშვილმა.

მისივე თქმით, ჟურნალისტების მიერ პოლიციელებისთვის ფოტოს გადაღების მცდელობამ პოლიციელები გაალიზიანა და ისინი დაუმორჩილებლობის მოტივით, რიკოთის უღელტეხილთან, რესტორან „ჯარგვალის" ტერიტორიაზე გადაიყვანეს.

ნინო მიქიაშვილის გარდა დაკავებულები იყვნენ ჟურნალ „მესინჯერის", გაზეთ „ჯორჯიან თუდეის" და სააგენტო „პირველის" ჟურნალისტები.

**ინტერპრესნიუსი**

◎ სიტუაცია

# სახალხო

***მიუხედავად მთავრობის მიერ ხელოვნურად შექმნილი ბარიერებისა, რაიონების მძღოლებისთვის ავტომანქანების მართვის მოწმობების ჩამორთმევისა, რკინიგზისა და ავტობუსების ბილეთების გადამალვისა, აჭარის ადმინისტრაციულ საზღვარზე ბეტონის ბლოკებით სავალი ნაწილის ჩახერგვისა, საპატრულო პოლიციის მიერ თბილისისკენ მომავალი ავტობუსების საბურავების დაჭრისა და მინების ჩამსხვრევისა, ორი ნოემბრის სახალხო მიტინგი შედგა და არა მარტო შედგა, თავისი მასშტაბით მრავალჯერ გადააჭარბა მანამდელ გამართულ ყველა რევოლუციურ მიტინგს, მათ შორის „ვარდების რევოლუციისას". ხალხში დაგროვილმა ანტისახელისუფლებო განწყობამ უკან ჩამოიტოვა ყოველგვარი ბარიერი და პრეზიდენტსა და მის თინეიჯერულ გუნდს დაანახა რისხვა, რომელიც რევოლუციით მოსული ხელისუფლების 4 წლიანმა გაუკუღმართებულმა ბატონობამ გამოიწვია. ბურთი სახელისუფლებო მინდორზეა. სრულიად საქართველოს გაგულისებული მოსახლეობის თავშეკავებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ვითარება სხვაგვარი იქნება. პარლამენტის წინ შეკრებილმა მოსახლეობამ არა მარტო თავშეკავება იცის, არამედ სახელმწიფო კანცელარიისა და პარლამენტის შენობებში შევარდნაც.***

ხელისუფლება გზების გადაკეტვის, ავტობუსების საბურავების დახვრეტისა და მინების ჩამტვრევის „ხელოვნებას" 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში ეზიარა, როდესაც მათი წაქეზებით გადაცმულმა პოლიციელებმა ქვების წვიმა შეაგებეს თბილისში შემომავალ „აღორძინების" ავტოკოლონას.

**ორი ნოემბრის სახალხო სულის ამბოხი არა მარტო ხელისუფლების წინააღმდეგ ამოხეთქილი ბოღმაა, არამედ მათი ოკეანისგადაღმელი დამრიგებლების საწინააღმდეგო გამოსვლაა. მიტინგზე გამომსვლელთა და პრესაში გამოქვეყნებულ ინტერვიუებში ყურადღება მახვილდება ქართული სულიერების წაბილწვაზე, რასაც უკანასკნელი წლების განმავლობაში აქვს ადგილი ამერიკელი ექსპერტების თუ პოლიტიკოსების წაქეზებით ან უსიტყვო თანხმობით.**

ხალხისა და ოპოზიციის (ცხადია არა ყველასძ, დამოკიდებულება ოკეანისგადაღმელთა მიმართ განსხვავებულია, თუ ხალხს ნაკლებად ეპიტნავება ამერიკული დიქტატი, ოპოზიცია დაჩემებულ „დემოკრატიისა" და სხვა მოსაზრებათა გამო ზედმიწევნით ცდილობს ვაშინგტონს მორჩილება დაუმტკიცოს. 2 ნოემბრის წინა დღეებში ვაშინგტონის კარზე სიარულის ინტენსიურობა არა მარტო საქართველოს ხელისუფლების 4-წლიანი ანტიეროვნული მმართველობით იყო გამოწვეული, არამედ იმის მტკიცებითაც, რომ მომავალი ხელისუფლების პროამერიკულობა გარანტირებულია და რომ ვაშინგტონი არაფერს წააგებს სააკაშვილის, ოპოზიციით ჩანაცვლებით.



შეძლო ოპოზიციამ დამრიგებლების დაჯერება? ძნელი გამოსაცნობია, თუმცა, სახელმწიფო მდივნის მოადგილის, ფრიდის განცხადება, რომ ამერიკა არ აპირებს ხელისუფლება-ოპოზიციას შორის შუამავლობას, კომენტარს არ საჭიროებს.

საგულისხმოა ამერიკიდან დაბრუნებული ოპოზიციონერების განცხადებებიც, რომ აშშ-ს ადმინისტრაციას და პოლიტიკოსებს წარმოდგენა არა აქვთ საქართველოში მიმდინარე პროცესებზე და რომ მათ, ხელისუფლების წყალობით, მხოლოდ გაფილტრული ინფორმაცია მიეწოდება. **დეზინფორმირებულობასთან დაკავშირებით რამდენად გულწრფელია აშშ-ს ადმინისტრაცია? იქნებ ყველაფერი კარგად იცის, მაგრამ თავს იკატუნებს? დიპლომატიაში ოდნავ ჩახედული ადამიანისთვისაც ნათელია, რომ ადგილსამყოფელ ქვეყანაში არსებული დიპლომატიური მისიის უპირველესი მოვალეობაა, საკუთარი ქვეყნის ხელმძღვანელობისათვის, მასპინძელ სახელმწიფოში მიმდინარე პროცესების, განსაკუთრებით პოლიტიკოსების, ინფორმირება. საქართველოში არსებულ ყველა საელჩოსთან შედარებით, რიცხოვნობით სამჯერ დიდი ამერიკის საელჩოს კეთილსინდისიერი მუშაობა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი მთავრობის წინაშე, ეჭვქვეშ დგება. ის ან შეგნებულად ან ზერელეობიდან გამომდინარე (რაც დაუჯერებლიაძ არ აწვდის ვითარების ამსახველ ობიექტურ ინფორმაციას ვაშინგტონს.** უფრო დასაჯერებელია, ამერიკელ პოლიტიკოსთა არაგულწრფელი განცხადებები, რომ მათ არაფერი იციან საქართველოში მიმდინარე რეალური პროცესების შესახებ.

ვგონებ, ყველაფერი კარგად იციან, მაგრამ ვერ ელევიან მოჭარბებულად მარიონეტ პრეზიდენტსა და მის გუნდს. **ამერიკელებს ნაკლებად ან საერთოდ არ აინტერესებთ, რა დამოკიდებულება აქვს საქართველოს ხელისუფლებას საკუთარ ხალხთან, ირღვევა თუ არა ქვეყანაში ადამიანის უფლებები, არის თუ არა უმუშევრობა და მწვავე სოციალური ვითარება. ვაშინგტონისათვის მთავარია საკუთარი ინტერესების დაცვა და გამყარება კავკასიაში და კერძოდ საქართველოში.** ამ მიზნით მან გამოზარდა სააკაშვილი და დაუპირისპირა არანაკლებ პროამერიკულ, მაგრამ ხანშიშესულ შევარდნაძეს. 2003 წლის შემოდგომაზე, საპარლამენტო არჩევნების წინ არაერთი აქტიური თუ ყოფილი ამერიკელი პოლიტიკოსი სტუმრობდა საქართველოს. ერთ-ერთი, ყოფილი სახელმწიფო მდივანი, ბეიკერიც იყო, რომელმაც წასვლის შემდეგ შევარდნაძეს წერილითაც მიმართა გადადგომის თაობაზე. ყველას ახსოვს ამერიკის მაშინდელი ელჩის მაილსის შუამავლობა ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის. დღეს რაშია საქმე? ნუთუ ვაშინგტონმა საერთოდ გული აიყარა საქართველოსადმი? დაუჯერებელია. საქმე სხვაშია, რის შესახებაც ზემოთ აღვნიშნე — უჭირს საკუთარი გამოზრდილის, უყოყმანო, დამჯერი პირის გაწირვა.

**განვითარებული მოვლენები გვიჩვენებს, რომ სხვისი მოიმედეობა დიდი ვერაფერი შეღავათია. ცხადია, ყველა ქვეყანასთან საჭიროა ნორმალური ურთიერთობის ქონა, გადაჭარბებული კი მიუღებელია. ისიც კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ შენს გასაკეთებელს, სხვა ვერ ან არ გააკეთებს.**

ამერიკის ადმინისტრაციას უამრავი პრობლემა აქვს. მათი გადაჭრა თითქმის შეუძლებელია, ვინაიდან ძველს ახალი, თურქეთ-ქურთების მოსალოდნელი ომი ემატება. არაპოპულარული ადმინისტრაციის და პრეზიდენტისადმი დამოკიდებულე-

# პრობლემათა რკალში

**ამ ხალხს აქვს მაღალი ეროვნული ღირსების გრძნობა და ალბათ, ეს არის იმ ენერგიის ძირითადი მასაზრდოებელი, რითაც ისინი აგერ უკვე მრავალი წელიწადია, მოთმინებით უძლებენ ომსა და ყოველდღიურ განსაცდელს**



◉ კონფლიქტის ზონა

## ხმა ხეობიდან

***მთელი კვირაა, თბილისის დიდუბის სადგურიდან დიდი ლიახვის ხეობისაკენ მიმავალი ავტობუსი არ გასულა. როგორც კი გაწვიმდება, ცხინვალზე შემოვლით გზაზე, წვერიახოს ულელტეხილზე ზოგ ადგილას, ალმართებაზე“ გზა ფუჭდება და მიმოსვლაც ფერხდება. თუმცა, როგორც ამ ექსტრემალურ პირობებს შეეფერება, სახელდახელო გზა მოხრეშილია და იქ დღედაღამ მობილიზებულია ტექნიკა, რომელიც, სადაც კი ტრანსპორტს გაუჭირდება, იქ ჩნდება დასახმარებლად. გზას რამდენიმე ადგილას ქართველი სამშვიდობო ბატალიონი აკონტროლებს. თბილისიდან მიმავალი მგზავრები ამის გამო ჯერ ჩადიან სოფელ ერედვამდე, შემდეგ კი იქ მათ ელოდებათ ხეობის ავტობუსი, რომელსაც ისინი უფასოდ გადაჰყავს დიდი ლიახვის ხეობის სოფლებში.***

ამჟამად ხეობაში სიმშვიდეა. მოსახლეობა ხილს კრეფს. მოსავალი კარგია და ყველა ცდილობს, დროზე შეიტანოს, დააბინაოს ჭირნახული. რომ იტყვიან, ამინდმაც დააცადა გლეხებს ხილის კრეფა, თუმცა, ამ ორიოდე დღის წინათ გაავდრდა და მთებზე თოვლიც დადო. რადგან ეს მხარე კავკასიონთან ახლოსაა, ზამთარი მალე დგება და შედარებით ცივი და მკაცრიც იცის.

სოციალური მდგომარეობა აქ კვლავ მძიმეა. აცივებასთან დაკავშირებით ხალხს სათბობი არა აქვს. მათი ერთადერთი საწვავი შეშაა. ტყეში მის მოსატანად წასვლა კი, როგორც ცნობილია, გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული — ტყეს, უმეტეს შემთხვევაში, ოსები აკონტროლებენ.

— ღუმელი გამიცივდა, — მეუბნება ქალბატონი ელენე, — ამ გზაზე მის შესაძენად გორში წასვლა კი მიჭირს. არავის გვსიამოვნებს ტყე-ღრეზე სიარული. ადრე ცხინვალის ბაზრით ვსარგებლობდით, ახლოსაც იყო და ხელსაყრელიც. ახლა კი ყველაფერი გაგვიძნელდა. ამ ომში დავბერდით. ნეტავ მალე გვეღირსოს მშვიდობა.

მართლაც, საჭირბოროტო ბევრი აქვს აქაურ მოსახლეობას. ხშირად ითიშება დენი და როცა მოდის, ისიც იმდენად დაბალი სიხშირისაა, რომ ნათურები ძლივს ბჟუტავს. სურსათ-სანოვაგეს თითქმის ორმაგი ფასები ადევს, რადგან ისედაც გაძვირებული საკვები პროდუქციის შემოტანა ამ გზებზე კიდევ უფრო ძვირი უჯდებათ მაღაზიების მეპატრონეებს... ამიტომ, ვისაც შეუძლია, კვირაში ერთხელ თვითონ მიდის გორში და იქიდან შედარებით იაფად შემოაქვს ოჯახის სამყოფი ყოველდღიური მოთხოვნილების საქონელი.

მაგრამ ახლა, თოვლის დადებასთან დაკავშირებით, ესეც გაძნელდება, ხოლო ვისაც ეს არ შეუძლია, იძულებულია ადგილზე მამასისხლად იყიდოს პროდუქცია... განსაკუთრებით უჭირთ პენსიონერებს. საერთოდ კი, უნდა ითქვას, რომ მცირე გამონაკლისის გარდა, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა ძალიან მძიმეა.

— რამდენიმე ყუთი საადრეო ჯიშის მსხალი მქონდა. მე თვითონ ჯანმრთელობის გამო მისი ბაზარში წაღება არ შემიძლია. ვფიქრობდი, გადამყიდველები მოვიდოდნენ და ისინი შეისყიდიდნენ, მაგრამ ამაოდ — არავინ შემოდის ამ უგზოობისა და უბედურების გადამკიდე. დალპა მსხალი და აგერ, ბაღის ბოლოს დაყვარე, რა უნდა ვილონო, არ ვიცი, — ჯავრით მეუბნება 65 წლის ქალბატონი ელენე.

მოსახლეობას ძალზე აღელვებს ხილის რეალიზაციის პრობლემა, რადგან ისინი მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ამ მოსავლიდან შემოსული თანხით იძენენ სამყო სარჩოს, გააქვთ თავი...

ჩემი იქ ყოფნის პერიოდს დაემთხვა სოფელ აჩაბეთში ოსების ჩასახლების ფაქტი. როგორც თქვეს, ისინი ცხინვალის რეჟიმს გამოექცნენ და პროტესტი გამოთქვეს არსებული რეალობის წინააღმდეგ... საგულისხმოა, რომ ამ ფაქტს ადგილობრივი ქართული მოსახლეობა არაერთგვაროვნად შეხვდა. უმრავლესობის აზრით, ხელისუფლება მათაც უნდა შეკითხვოდა მეზობლად ოსების ჩასახლების შესახებ. ისინი ამბობენ, რომ არავინ იცის, სამომავლოდ ეს კიდევ რა პრობლემებს მოუტანს მათ. ხოლო ზოგნი ამბობენ, რომ ეს არის საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ამ ქვეყნის ყველა მოქალაქე თანაბარუფლებიანია, მიუხედავად მისი ეთნიკური წარმომავლობისა.

როგორც საინფორმაციო საშუალებებმა გადმოსცეს, აჩაბეთში შემოსახლებულ ოსებს დაახვედრეს შესანიშნავი სახლები, გადასცეს უახლესი საყოფაცხოვრებო ტექნიკა — თამარაშენში „ელიტ ელექტრონიქსის“ მაღაზია დაცარიელდა, სულ მათ შეუძინეს აპარატურა. თითოეულს კი 5000 ლარიც გადასცეს საჩუქრად, — მეუბნებიან ადგილობრივი მცხოვრებნი.

დიდი ლიახვის ხეობაში მცხოვრები ქართველები წუხან თბილისში შექმნილი მდგომარეობის გამო. მათ აღელვებთ დაპირისპირება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. ყურადღებით ადევნებენ თვალყურს მიმდინარე პროცესებს და მიაჩნიათ, რომ ყველა პრობლემა მოლაპარაკების მაგიდასთან უნდა გადაწყდეს. აღსანიშნავია, რომ ამ ხალხს აქვს მაღალი ეროვნული ღირსების გრძნობა და ალბათ, ეს არის იმ ენერგიის ძირითადი მასაზრდოებელი, რითაც ისინი აგერ უკვე მრავალი წელიწადია, მოთმინებით უძლებენ ომსა და ყოველდღიურ განსაცდელს.

**ლია ჭილლაძე**

**თბილისი-**
**დიდი ლიახვის ხეობა-**
**თბილისი**

◉ სიტუაცია

## გულისწყრომა

ბა უკიდურესად ნეგატიურია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის არც ერთი პრეზიდენტი არ ყოფილა ასე იმიჯწამხდარი, როგორც ბუში. მას მოსახლეობის მხოლოდ 32 პროცენტი უჭერს მხარს. კვლავ წინა პლანზეა წამოწეული ერაყში მიმდინარე ომი და პრეზიდენტის სიჯიუტე ჯარის არგამოყვანასთან დაკავშირებით. პრეზიდენტის პოლიტიკას არა მარტო დემოკრატები, არამედ რიგითი რესპუბლიკელებიც აკრიტიკებენ, მათ შორის არის ცნობილი ამერიკელი მულტიმილიარდერი დონალდ ტრამპი, რომელმაც სატელევიზიო გამოსვლის დროს მოკლე ფრაზას — „მე ვათავისუფლებ ბუშს“, მიაყოლა ბუშის პრეზიდენტობის დროს დაშვებული შეცდომების კასკადი, ერაყში შეჭრიდან დაწყებული. **ტრამპმა ისიც აღნიშნა, რომ შეცდომა იყო ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით სადამ ჰუსეინთან ომის დაწყება, ვინაიდან თვით ჰუსეინი აქტიურად იბრძოდა ტერორისტების წინააღმდეგ. ამერიკელთა გამოისობით დღევანდელი ერაყი ტერორიზმის ბუდედ არის ქცეული.** ტრამპმა ქებით მოიხსენია პუტინის ხელისუფლება და ხაზი გაუსვა ამერიკის მძიმე ეკონომიკურ-საფინანსო მდგომარეობას, საწვავზე ფასების კატასტროფულ ზრდას, დოლარის კურსის ვარდნას, მთელს მსოფლიოში ამერიკის ავტორიტეტის მკვეთრ დაცემას.

**საგარეო საკითხებში ვაშინგტონის ადმინისტრაციის კრახი ჩვენმა ქვეყანამაც იწვნია. სწორედ მისი მოუქნელი პოლიტიკის შედეგია საქართველოს ხელისუფლების მოჭარბებული**



**თავდაჯერება. სწორედ დიდი მხარდაჭერის შედეგია გასული კვირის საქართველოს პრეზიდენტის ცინიკური სატელევიზიო გამოსვლა, სწორედ მისი შედეგია 7 ნოემბერს პარლამენტის წინ, მშვიდობიანი მიტინგების უმოწყალო დარბევა. აშშ-ს სახელმწიფო მდივნის რიგითი მოადგილის თანაშემწის დონეზე საქართველოსთან ურთიერთობა ნამდვილად სამარცხვინო და პატივმოყვარე ქვეყნისათვის მიუღებელია. მით უმეტეს, როდესაც ბრაისა-სააკაშვილს შორის დიდი ხნის მეგობრობა არსებობს, რაც აშკარად ხელს უშლის ვაშინგტონს ობიექტურად გაეცნოს საქართველოს მოვლენებს.**

პრეზიდენტისა და მისი გუნდის განმარტებით, მომიტინგეთა მთავარი მოთხოვნა, არჩევნების აპრილში ჩატარებასთან დაკავშირებით იმიტომ არის მიუღებელი, რომ რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებს ემთხვევა, გარდა ამისა მოსალოდნელია კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება. რუსეთის არჩევნებზე ან კოსოვოზე უკბილო აქცენტის გაკეთება ნაკლებად დამაჯერებელია. ასევე დაუჯერებელია ის, რომ საქართველო გაზაფხულზე, ბუქარესტის ნატოს სამიტის დროს, ახალ, უფრო მაღალ ეტაპზე გადავა, რაშიც პირადად მე ეჭვი მეპარება, თუმცა ხელისუფლების მიერ დაპურებულ ახალ ინტელიგენციას სჯერა და ოპერის თეატრში ხელსაც აწერს დეკლარაციას. ერთ-ერთი ხელმომწერის განცხადებით, ის მხარს ვერ დაუჭერს ოპოზიციას, ვინაიდან არ სჯერა, რომ ოპოზიციის გამარჯვების შემთხვევაში მოხდება ნატოში გაწევრიანება. ხელმომწერმა ისიც განაცხადა, რომ პოლიტიკაში ნაკლებად გათვითცნობიერებულია. კომენტარი ზედმეტია, თუმცა ერთს ვიტყვი, პოლიტიკაში გაუთვითცნობიერებელ პირთა ტრიალმა მიიყვანა ქვეყანა დაქცევამდე.

უამრავ ანტისახელისუფლო გამონათქვამში, რომლებიც იბეჭდება ქართულ პრესაში, შეხვდებით ისეთებსაც, სადაც გაკვრით არის აღნიშნული მოსახლეობის უკმაყოფილების შესახებ, მაგრამ იქვე ისიც არის ნათქვამი, რომ სამი წელი მოკლე დროა ყველაფრის გამოსასწორებლად. შემდეგ ჩამოთვლილია ტრადიციული სიკეთეები: გზები, შუქი, ფასადები, სპორტული მოედნები და სხვა. **მშენებლობას რომ ორჯერ მეტი დრო ესაჭიროება ვიდრე ნგრევას, ფაქტია, თუმცა სულიერი გაპარტახებით მიყენებული შეუხორცებელი ჭრილობა გაცილებით დიდია, ვიდრე ე. წ. აღმშენებლობა.**

საქმეში ჩახედული სპეციალისტების მტკიცებით, გაკეთებულ-აშენებასაც აქვს ჩრდილოვანი მხარეები. მათი აზრით, მშენებლობის სტიმული უფრო მეტად ანგარებით, ვიდრე აუცილებლობით ან საქმით არის გამოწვეული. მაგალითებიც ბევრი მოჰყავთ, თუნდაც რუსთაველის პროსპექტის უსახო, უგემოვნო ბეტონის, სამარხების მსგავსი, ოთხკუთხა ყუთებით გაშენება და მათი ძვირადღირებული, იმპორტული გრანიტით მოპირკეთება. სპეციალისტთა აზრით ორი კურდღლის დაჭერასთან გვაქვს საქმე: ფულის ჩაჯიბვასა და უცხოელთათვის ხელოვნური კეთილდღეობის მტვრის თვალში შეყრასთან. ჩვენდა სამწუხაროდ, გუშინ დაგებული ასფალტი თავიდან დასაგებია, ხოლო შეღებილი ფასადები ახლიდან შესაღები. **ვის სჭირდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნაცვლად წამოჭიმული სუპერმარკეტები, რომელსაც მოსახლეობის 90 პროცენტის ჯიბე ვერ შეწვდება. ხელისუფლების ნათესაურ-კლანურმა ბიზნესმა გაალატაკა ისედაც გაღატაკებული მოსახლეობა. რა ჰქვია ერთ დროს ჩაით მდიდარ ქვეყანას, რომლის კაფე-ბარებში ფინჯანი ჩაი 4 ლარამდე ღირს? რა ჰქვია ისეთ ქვეყანას, სადაც „გამყარებულმა“ ლარმა თავიც გაიუფასურა და აშშ-ს დოლარიც გააუფასურა?** ლარის „გამყარების“ კურსი წარმატებით გრძელდება, რაც ხელისუფლების მხრიდან საწყალი მოსახლეობის ჯიბეებში ხელის ფათურს უფრო ჰგავს, ვიდრე გამყარებას. ბედუკუღმართობით ლუკმაპურის საძიებლად უცხოეთში გადახვეწილი ქართველების მიერ სახლში გამოგზავნილი დოლარების, ნაწილს ვითომდა დოლარის გაუფასურებიდან გამომდინარე, ხელისუფლება ეპატრონება. არადა, ოფიციალური მონაცემებით, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მარტო რუსეთიდან გამოგზავნილმა თანხამ ნახევარი მილიარდი დოლარი შეადგინა.

**მოსახლეობამ თვალი გაახილა. ნელ-ნელა ქრება ნორმალური საზოგადოებისათვის მიუღებელი სიტყვა „ვაცადოთ“, მოცდა მძიმე შედეგით დასრულდება. შექმნილი ვითარება, განსაკუთრებით 7 ნოემბერს დემონსტრანტების უმოწყალო დარბევის შემდეგ ზრდის ხელისუფლების პასუხისმგებლობას, თუ რას მოიმოქმედებს გაუწონასწორებელი ხელისუფლება ძნელი გამოსაცნობია.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

# წარსული

● გაგება სახელმწიფოთა შესაძლო დაღუპვისა საზღვარგარეთული კულტურული გავლენებით, არსებობდა შორეულ წარსულშიც და მგონი კრემლში აითვისეს ეს გაკვეთილი



◎ სხვა გაზეთებიდან

# ვინ მოაბიჯებს მანდ მარცხენით?

## შემდგება კი მეოთხე რუსეთი?

**ხრუშჩოვის ხელში წარმოქმნილი სისტემა თავიდან არამდგრადი იყო. პოლიტიკურად მის საფუძვლად თვლიდნენ სახელმწიფო ფუნქციების შემსრულებელ სკკპ-ს. თუმცა მესამე სამოქალაქო ომის მიზეზების, შედეგებისა და საერთოდ, რუსული გზის გასააზრებლად სასარგებლოა პოლიტიზებული შეფასებებისაგან განზე დადგომა.** სინამდვილეში სკკპ იყო მხოლოდ სსრკ-ში გაბატონებული ამორფული მეშჩანური მასის გარსი. ეს გარსი, სისხლხორცეულად მეშჩანური, აკავებდა რა თავის შიგნით იმას, რასაც საბჭოთა საზოგადოებას უწოდებდნენ, სხვადასხვა ფორმას იღებდა — იმ განათლებიანობის განწყობილებებისაგან დამოკიდებულებით, რომელიც სულ უფრო ძლიერ იხრებოდა მაძღარი დასავლეთისაკენ, ვისთან შეჯიბრებაშიც ჩაეხირა ხრუშჩოვი. გადახრა როცა კრიტიკული გახდა, გარსი გასკდა, გარდაქმნის წლებში მხოლოდ ფორმალური არსებობით. იქიდან საზოგადოების სხვადასხვაგვარი ელემენტები გამოცვივდნენ, რომლებიც დომინირებისათვის ბრძოლაში ჩაებნენ. საკუთრების საკითხი, ვითომ მთავარი, უბრალოდ გამოყენებული იყო როგორც კაზუს ბელი — ომის საბაბი. პოლიტიკურ მემარცხენეებს რომ გაემარჯვათ, ქვეყანა აგრეთვე წავიდოდა ბაზრისაკენ. ჩინური გზით.

შემდგომი ამბები განსაცვიფრებელი ზედმიწევნობით აღადგენდნენ იმას, რაც 1917 წლის რევოლუციის მერე ხდებოდა. 1990-იანის ათწლეული იქცა იმ მემარჯვენე რადიკალური ნეობოლშევიკებისა და ხელოვნების მემარცხენეთა განუყოფელი ძალაუფლების პერიოდად, რომლებიც დამატებით მართლმადიდებლური ეკლესიის მოგუდვას ლამობდნენ აღვირახსნილი სექტანტური თავისუფლებით. მომდევნო შვიდი წელიც გარდამავალი აღმოჩნდა, ამასთან ნაცნობი სქემით: იმ ნეობოლშევიკების მიერ მიმობნეული „სამეურნეო" ქვების აკრეფა, რომლებმაც რუსეთი „ზოგადკაცობრიობაში" გახსნეს, უთავსდებოდა ეროვნული სულიერი ცხოვრების გაღარიბებით, რუსეთის ინტერესების არად ჩაგდებითა და, როგორც შედეგი, სწრაფი ან გადადებული (ხრუშჩოვიძ ეკონომიკური დაქვეითებით. დღის გმირები ხდებოდნენ ინტერნაციონალისტები ან ზოგადკაცები, რაც ერთი და იგივეა — კულტურული თვალსაზრისით ხალხისგან მოწყვეტილნი.

მეორე ხაზი მოიცავს იმ პერიოდებს, როცა ქვაკუთხედად აყენებდნენ რუსეთის ინტერესებს, ეყრდნობოდნენ ეროვნულ მორალურ და კულტურულ ღირებულებათა სისტემას, პატივს ცემდნენ რუსულ სიძველეს, თანაც არც საუკეთესო ევროპულ წამოქროლვებზე ამბობდნენ უარს. ასეთ ხანებში მკვეთრად იზრდებოდა სახელმწიფო ძლიერება, ხოლო მისაბაძი ნიმუში ხდებოდნენ „რუსი ევროპელები" — პეტრემდელი ყაიდის მოსკოველი ადამიანები, ფესვებისადმი ერთგულების შემნახავნი, მაგრამ თანამედროვე მსოფლიო მიღწევების აღქმისათვის მზადმყოფნი. ეს ალექსანდრე მესამედან მოდის სტალინისაკენ.

ისტორიული მოძრაობის რომელი ტრაექტორიით წავა რუსეთი 2008 წლის არჩევნების შემდეგ?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემის თავი რომ არა აქვს, ჩვეული კულტურის ფასეულობათა უპატივცემლობას, უზნეობის, ცუდი გემოვნებების პროპაგანდას.

ამასობაში რუსეთი გარდამტეხ მიჯნას მიადგა — საპრეზიდენტო არჩევნებს, „მეფის" გარდაუვალ ცვლას. და კანონზომიერად წამოიჭრება კითხვა: შემდეგ რა?

პასუხის გაცემისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ დეპოლიზებულ კოორდინატთა სისტემაში რუსეთის ისტორიული მოძრაობა ორი ხაზით ვითარდება. ერთი მათგანი მკაფიოდ გამოიკვეთა: ლენინი-ხრუშჩოვი-ელცინი. სამივე პერიოდს აქვს მსგავსი თვისებები და ხასიათდება ეროვნული რუსეთული ტრადიციების დაკნინებით, წარმოდგენების მარწუხებში მოფართხალე პოლიტოლოგიური აზრი ეგზოტიკურ ვერსიებს აყენებს: პუტინი სუსტ ან ავადმყოფ უკანამორბედს შემოგვთავაზებს, რომ უკვე ორიოდ წლის შემდეგ ხალხის მოთხოვნით დაბრუნდეს კრემლში (ეს ბოდვა ნიუ-იორკში მოვისმინე რუსულენოვან არხზე, რუსეთში დავიწყებული ყოფილი „ეთერის მეფის" ე. კისელიოვის ენა-პირითძ.

უაზრო მკითხაობებს რომ თავი დავაღწიოთ, პოლიტიკიდან კვლავ უნდა გადავიდეთ ქვეყანაში მიმდინარე ეთნოკულტურული ძვრების გააზრებაზე. სტალინმაც კი ვერ შეძლო რუსეთის ისტორიული მოძრაობის თვითნებური განსაზღვრა, როცა წითელ რაზმებს გუნება-განწყობანი გამოუცნო და სათავეში ჩაუდგა. ეტყობა, ახლაც ხელისუფლებამ აგრეთვე იგრძნო იმ მრავალეროვანი უბრალო ხალხის მასების მზარდი დაწოლა, ვინც უკმაყოფილოა 1990-იანის რღვევითა და ხელოვნების ყველა სახეში უცხოური მონაქროლვების ჭარბი დომინირებით (სიმბოლურია კაზაკებისა და მამათმავლების ქუჩური შეტაკებები!ძ.



სკკპ-ისა და სსრკ-ის დაშლამ, მესამე სამოქალაქო ომმა მაგრად შეაჯანჯღარა ყოფილი საბჭოური საზოგადოება; ყოველნაირი შეზღუდვების, მათ რიცხვში გადაადგილების, სამსახურებრივი წინსვლის გაუქმებამ იქამდე მიგვიყვანა, რომ უბრალოხალხიანი რუსეთის წიაღებში ფორმირება დაიწყეს შავი (აღორძინებული რელიგიური შეგნებითძ და წითელი რაზმების ასეულებმა, ხელისუფლებაში მოქცევაზე რომ ოცნებობენ. სოციოლოგიური გამოკითხვები გვიჩვენებენ მორალურ ფასეულობათა დავიწყებით გამოწვეული უკმაყოფილების ზრდას. იგივე განაცხადა რუსულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ, რომლის ავტორიტეტი განუზომლად გაიზარდა. მორალური ღირებულებანი კი პირდაპირ უკავშირდებიან ეროვნულ ფესვებს.

ცხოვრების ობიექტურმა მსვლელობამ, როგორც ჩანს, პუტინს უკარნახა, რომ ერთბაშად ორ ფრონტზე ბრძოლა — სახელმწიფოს როლის უკუმგდები ეკონომიკის მემარცხენე რადიკალებთან და დასავლურ უსულიერო ფართო მოხმარებაზე ორიენტირებული ხელოვნების მემარცხენე რადიკალებთან, — შეუძლებელიცაა და სახიფათოც. და პრეზიდენტმა, სტალინის მსგავსად, გარდამავალი გზა აირჩია, დაიწყო რა ეკონომიკით, რომელიც უთუოდ გამოიწვევს ცვლილებებს სულიერ სფეროში. ბედის ნებით, ამ ეტაპზე დემოკრატიულმა პირობებმა პუტინს იგივე შვიდი წელი გამოუყვეს, რამდენადაც პირველი ელცინისშემდგომი წელი სათვალავში ჩასაგდები არაა.

რუსეთის ისტორიული მოძრაობის ფაზათა არაჩვეულებრივი მსგავსება არ გახლავთ შემთხვევითი ქრონოლოგიური დამთხვევა. მდიდარი ისტორიული წარსულისა და ღრმა კულტურული ფესვების მქონე ქვეყანაში განვითარების მსვლელობაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს არა მემარჯვენე-მემარცხენე პოლიტიკური მუშტი-კრივები, არამედ პეტრემდელი და პეტრეს ეპოქის ორ ადამიანთა ეთნოკულტურული ტიპის ურთიერთწინააღმდეგობა. ევროპისათვის უცნობი ეს განსაკუთრებულობა დასავლეთთან ჩვენს დიალოგს სძენს ცივილიზებული კამათის ხასიათს, ჩვენ სულიერ ფასეულობებს კი — არაჩვეულებრივ გამძლეობას, ტოტალური სატელევიზიო პრესინგის პირობებშიც კი. აქვე სათქმელად, გაგება სახელმწიფოთა შესაძლო დაღუპვისა საზღვარგარეთული კულტურული გავლენებით, არსებობდა შორეულ წარსულშიც და მგონი კრემლში აითვისეს ეს გაკვეთილი.

ამიტომაც გვაქვს იმის დაშვების საფუძველი, რომ რუსეთი ქვეშეცნეულად უკვე იწყებს იმ ისტორიული მოძრაობის ხაზის არჩევას, რომელიც გააგრძელებს ალექსანდრე მესამისა და სტალინის ტრაექტორიას — ეპოქებს შორის პოლიტიკურ განსხვავებათა ზემოთ, ოღონდ არა მონარქიის ან დიქტატურის პირობებში, არამედ დემოკრატიულ განვითარებაზე დაყრდნობით. ამაზე მეტყველებს კიდევ ერთი განსაცვიფრებელი დამთხვევა: პრეზიდენტმა პირადად დასვა სკოლაში ისტორიის სწავლების ახალი პრინციპის საკითხი (რევოლუციური ჟანრის ყველა კანონის მიხედვით ამას წინ აღუდგნენ ისინი, ვინც ა. იაკოვლევთან ერთად იწყებდა მესამე სამოქალაქო ომს!ძ. ეს თუ ასეა, რუსეთის სიძლიერისა და სახელმწიფოებრიობის აღორძინება გარანტირებულია; თუმცა, შესაძლოა, ბრძოლა გრძელდებოდეს, რასაც ის ფაქტი მოწმობს, რომ „წყნარი დონის" ავტორისათვის ძეგლის გახსნამ შეუმჩნევლად ჩაიარა, ხოლო მთავარმა ტელეარხებმა ის დემონსტრაციულად უგულებელყვეს.

**მაშასადამე საკითხი იმის თაობაზე, გახდება თუ არა პუტინის რუსეთი მეოთხე რუსეთი, ჯერჯერობით ღიად რჩება...**

**ანატოლი სალუცკი**

ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 209-213.**

◎ ინფორმაცია

### მათთვის თურმე „თხუთმეტწუთიანი გაზი" არ მოქმედებს

რუსთაველის გამზირზე აქციის დარბევის შემდეგ პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორია ძალოვანი უწყებების პირველმა პირებმა დაიკავეს.

საკანონმდებლო ორგანოსთან იმყოფებოდნენ შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი, ასევე დედაქალაქის მთავრობისა და უმრავლესობის ხელმძღვანელი პირები. ყველა მათგანს სახეზე დამცავი ნიღბები ჰქონდეთ აფარებული.

### ქუთაისში პრეზიდენტის ფიტული დაწვეს

ქუთაისის მერიის წინ გუშინ „თანასწორობის ინსტიტუტის" წარმომადგენლებმა საპროტესტო აქცია გამართეს.

ახალგაზრდებმა პროტესტი თეატრალური ფორმით გამოხატეს. აქციაზე საქართველოს პრეზიდენტის ფიტული დაწვეს.

„თანასწორობის ინსტიტუტი" ქუთაისის რეგიონულმა ორგანიზაციამ ხელისუფლებას მოუწოდა, ხელი აიღოს უდანაშაულო ხალხის დარბევაზე.

აქციის დასრულების დროს „ნაციონალური მოძრაობის" ათამდე მხარდამჭერი ხალხში შეიჭრა და შეხლა-შემოხლა მოხდა. პოლიცია ინციდენტში არ ჩარეულა.

ქუთაისში ოპოზიციის მხარდამჭერი აქციები პერმანენტულად გაიმართება.

ინტერპრესნიუსი

### ვინ შეწყვიტა ელექტრო ენერგია ბუნებამ თუ მთავრობამ?

დასავლეთ საქართველოში კერძოდ კი იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონებში 40 000 აბონენტს ელ. ენერგია არ მიეწოდება.

ენერგო-პრო ჯორჯიას ელექტრო ენერგიის შეწყვეტის მიზეზად 3 დღის განმავლობაში მოსულ ძლიერ წვიმასა და ქარს ასახელებს, რის გამოც დააზიანა 2 გადამცემი ხაზი და რამდენიმე ფიდერი.

მათივე ინფორმაციით, ენერგო-პრო ჯორჯიას სპეციალისტები საგანგებო რეჟიმში მუშაობენ დაზიანებული ავარიების აღდგენისთვის, თუმცა ბუნებრივი პირობები სარემონტო სამუშაოებს ართულებს.

ჯი-ეიჩ-ენი

№ 214. ხუთშაბათი. 8 ნოემბერი. 2007 წელი.

# წუთისოფელი

● მაგრამ, ბოლოს, ირაკლი აბაშიძის სახელ-ავტორიტეტმა და ყოვლისშემძლეობამ, თანდათან, თვით ვასილ მჟავანაძეც ჩააფიქრა და, როგორც გარედან ანუ შორიდან, შევატყვეთ, — კიდეც შეაშინა



◎ გულწრფელი წიგნი

ფრიდონ ხალვაში

# ომარი

დოკუმენტური მოთხრობა



ორ სხვა დროის ეპიზოდს მოვიგონებ და მერე ისევ მწერალთა ყრილობაზე დავბრუნდებით. აჭარის პარტაქტივის კრებაზე, რასაც ცეკადან შოთა ჭანუყვაძე ესწრებოდა, მახსოვს, შევნიშნე, — მთის რაიონების კოლმეურნეებისაგან, საკარმიდამოებზე მოწეულ თამბაქოს სახელმწიფო არ იღებს მაშინ, როცა ზღვისპირა რაიონების კერძოებისაგან ციტრუსებს და ჩაისაც ყიდულობს-მეთქი. ოლქკომის პირველი მდივანი გაჯავრდა, ჭანუყვაძემ კი მჟავანაძეს მოახსენა, ასეთი საკითხი გამჟღავნდაო.

ორ წელიწადში ფუხარა ქედელ-ხულო-შუახევლებმა, ბევრმა მანქანების შეძენაც შეძლეს. ახალი სახლებიც წამოიჭიმა.

* * *

ახლა, — ჩვენი ყრილობა! დარბაზი გაჭედილია. მწერლობის გარდა იქაა ქვეყნის მთელი კულტ-შემოქმედებითი ელიტა. ერთ-ერთი სხდომის შუაგულში სწორედ მე გამიძახეს ტრიბუნაზე.

აბურდულ-დაბურდულად ჩამოწერილი ფურცელი წინ დავიდე.

— პატივცემულნო!, ახლა, აქ ჩვენ, ლექსის და მოთხრობის წერას ხომ ვერ ვასწავლით ერთმანეთს. მოდი, უბრალოდ, დღევანდელ ჩვენს ცხოვრებაზე და ჩვენი გლეხი ხალხის საჭიროებაზე გავბედავ რამდენიმე სიტყვის თქმას. დიდი ზამთარი გადავიტანეთ, მეგობრებო. აჭარის ზეგანში ბევრია მსხვერპლი. ზვავმა, შვავმა, მეწყერმა მთის სოფლები, ბევრგან, მოსახლეებიანად ხევხუვებში ჩალეწა.

საქმე ისაა, რომ იქ ბოლო წლებში შესამჩნევად გავმრავლდით. სოფლებს კი ახალმოსახლეთათვის მიწის ფართი აღარა აქვთ. ახალგაზრდა ოჯახები საცხოვრისებს ისეთ ალაგებზე მართავენ, სადაც ძველები ოდას არ ჩადგამდნენ. იმას ვამბობ, რომ ნამატ მოსახლეობას ჩვენში მიწა აღარ ყოფნის. ეს მაშინ, როცა მესხეთ-ჯავახეთში ბევრი სოფელი დაცარიელებულია. ავტონომია ვართ, მარა ჩვენ საქართველო ვართ, ძველისძველი ქართველები ვართ და ყველგან შეგვიძლია ქართულ მიწაზე ვიმოსახლოთ; ხომ ასეა?!

შემოვდივარ წინადადებით და თხოვნით, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, აი, ახლავე, ამ გაზაფხულიდანვე გამონახოს სახსრები აჭარიდან ნამატი მოსახლეობის მესხეთ-ჯავახეთის თავისუფალ სასოფლე ადგილებში დასამკვიდრებლად. მრავალი მრავალრიცხოვანი ოჯახი წავა, მეგობრებო, საჭირო გახდება მალე იმ ახალ სოფლებში ახალი ქართული სკოლები. ჩვენ, იქაური მწერლები, გადარჩენილი ქართული სიტყვის მსახურნი, სოფელ-სოფელ მოვივლით, ავუხსნით ხალხს ვითარებას. მოვნახავთ, მოვამზადებთ მსურველებს და საქმეს დავძრავთ და მალე მესხურ-ჯავახურ მინავლებულ-ჩამქრალ კერებს ქართულად გამოვაღვიძებთ.

ოვაცია იყო. რა ვთქვი ისეთი? — არაფერი! ავტონომია ვართ, მაგრამ საქართველო ვართ-მეთქი. სხდომა შეწყვიტეს. მჟავანაძესთან მიმიყვანეს, — წავლენ? — მეკითხება. — კი, აუცილებლად... გაიხარებენ-მეთქი.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 183-208, 213.

მართლაც იმ გაზაფხულზე აჭარელთა გადასახლება მესხეთ-ჯავახეთში დაიწყო. საბჭოურმა დრომ, უნდა ითქვას, ეს ერთი სამადლო მოგვიფერა.

**23.05.06**

ეზოში, ნასაქათმევზე, კაი სამწვანილე გამოგვივიდა, ხახვი, ნიორი, ქინძი, მაკიდო, პიტნა გადაჯეჯილებულია. შლანგი მიჭირავს, ვრწყავ, — მირეკავს თემურ შაშიაშვილი, — ოცდაექვსში თბილისში თუ მოგიხერხდეთ, შემოგვიერთდიო. ჩვენთან ჭაბუაც იქნება, დოჩანაშვილი და სხვა უკვდავებიცო. პარლამენტთან მივალთო. შენ საჭირო ხარ, ღირსი ხარ, სახელი ხარ...

შუახევიდან ზურაბ ზოიძე მთხოვს დავუწერო მისალმება ახალდაარსებულ გაზეთისათვის, რომელსაც „მთიელები" უწოდეს თურმე.

გულით და სულით მივესალმები ასეთი გაზეთის დაბადებას. ვისურვებდი, რათა ჩვენი მთიანეთის ამ ახალ მეამბეს მთასავით მაღალი აზრები დაჰქადლებოდეს და „აჭარაში გადარჩენილ ქართულ სიტყვით" დედასამშობლოს გადარჩენაც, მისი ერთად ყოფნის ურღვეობის სარწმუნო საქმენიც მიეხარებინოს მკითხველთათვის. მან უნდა ჩვენებურთ უფრო ნათლად, სიყვარულით, უფრო მშობლიურად მოუთხროს თუ რა მადლი და ხიბლი ძევს ჩვენს წინაპრულ რწმენაში, რომლის ძეგლიც სხალთაა და რომელმაც შეინახა ქართული ეროვნულობა, — ჩვენი კაცობის ბაჯაღლო ბეჭედი.

მე, მაგალითად, ვისურვებდი ამ გაზეთს დაერქვას „არსიანი". გვაქვს ბედნიერება, — ასეთი სახელის დიდი მთა დგას ხულო-შუახევის გვერდით. რა ვუყოთ, სანახევროდ თუ იგი სხვისია. არარატი მთლიანად სხვაგანაა, მაგრამ სომხებს მისი სახელი ყველაფრისთვის ხომ უწოდებიათ.

არსი — ძირი, სიღრმე სინამდვილისა, მოუხდება სიმართლის ახალ მქადაგებელს.

მთიელთა გაზეთო, იყავი ხელიდან ხელში საგოგმანები, სანდო, გულღია და ერთგული!

* * *

ერთი სიტყვით, როგორც კი პირველი ჩვენებური მოსახლენი მესხეთისკენ დაიძრნენ, ჩვენც, თანაკუთხელი ქართველი მოკალმენი ჩვენებურებს დავემგზავრეთ, რათა ახალ ძველ მიწაზე მათი დამკვიდრება ლექსით თუ სხვანაირ მხატვრული შემკულობით, დაგველოცა და ახალწამოჭრილ სიძნელეთა მოწესრიგებაში დავხმარებოდით.

კი, კი, ასე იყო. მწერლის მიერ წამოჭრილ პრობლემებს განსაკუთრებული ყურადღებით და ოპერატიულობით განიხილავდნენ ხოლმე მაშინ ზემდგომები. მწერალთა აზრს უფრთხილდებოდნენ, პატივს სცემდნენ (რა თქმა უნდა, უსმენდნენ უფრო იდეურად იმ დროის პოზიციაზე მდგომ მწერლებს და არა იმათ, ვინც ფარულად თუ აშკარად ეწინააღმდეგებოდა სოციალიზმს. აქვე ერთსაც ვიტყვი! კომუნისტურ მთელ რიგ უკუღმართობებს, სამოციანი წლების შემდეგ პერიოდში, „იდეურად სწორი გზის მწერლებიც", ხშირად წინ აღუდგებოდნენ. ხელისუფლებას დროზე ურჩევდნენ, ასე არ ჰქნათ, თორემ ხალხი არ გაგვყვებათო, ინტელიგენცია ზურგს შეგვაქცევთო და სხვა. მაგალითად, ირაკლი აბაშიძის ახლობლობა-გაშინაურებამ მჟავანაძესთან, ბევრ ეროვნულ წამოწყებაში სასიკეთო როლი ითამაშა. ბევრი საჭირო, მტკივნეული ამბავი ქვეყნისა და ხალხისა, მრუდად მიმავალი, საქართველოსთვის სასიკეთოდ შემოაბრუნებინა. თუნდაც ვახსენოთ 1966 წელს შოთა რუსთაველის რვაასი წლის იუბილის მსოფლიო მასშტაბით გამართვა.

მაგრამ, ბოლოს, ირაკლი აბაშიძის სახელ-ავტორიტეტმა და ყოვლისშემძლეობამ, თანდათან, თვით ვასილ მჟავანაძეც ჩააფიქრა და, როგორც გარედან ანუ შორიდან, შევატყვეთ, — კიდეც შეაშინა.

შენ გახსოვს და კარგადაც მოგეხსენება მაშინდელობისა ყოვლისა (ვიმეორებ: ამ რვეულების წერა, ჩემი ერთხელ გაცნობილის ემინ დუბელიძის რჩევით და თხოვნით დავიწყე). ჰოდა, ჩემო ემინ, შენ კარგა გემახსოვრება, სამოცდაათიანის დასაწყისში, ირაკლი აბაშიძე მოულოდნელად, დაკავებულ საქმეს რომ განარიდეს. მხოლოდ იმისათვის, რომ საზოგადოებაში უზომოდ ამაღლებული სახელი, ავტორიტეტი მოიპოვა და ხელისუფალთათვის ხელისშემშლელად იქცა. მინისტრებს და ცეკას მდივნებსაც კი (გარდა პირველ-მეორისა) თითქმის თავად ნიშნავდაო, — იგონებენ ნადიდკაცარები.

ერთ ჩემ მოსკოვურ საქმეს ირაკლის წამოხმარება ეწამლებოდა. ის აქ აღარაა, — მითხრეს, — ის იქაა, მოსკოვში. ირაკლი აბაშიძე ახლა საკავშირო მწერალთა კავშირის ერთ-ერთი მდივანია, უცხოეთთან ურთიერთობის დარგშიო. ეს ნინო თოფჩიშვილმა გამიმხილა. ის ხომ წლების მანძილზე კავშირის თავმჯდომარის მდივანი იყო.

მოსკოვში ვარ. უნდა მივიდე ცედეელში, ვიკითხო, — ნუთუ მართლა წამოვიდა ირაკლი საქართველოდან? ჯავრიანმა, ნაწყენმა გააკეთა. ჯინაზე. აღარ გინდივართ ხომ?! ჰოდა, გააკეთა... შევდივარ ვოროვსკის მხრიდან მწერალთა სახლის ეზოში. ნელა მივაბიჯებ, აქეთ-იქით ვიცქირები. ვინმე ნაცნობს ვეძებ, იქნებ მითხრას სად ზის ირაკლი, ან, საერთოდ, მართლა აქაა თუ ლაყბობენ? მთავარი შენობის კარებთან მისვლამდე, ახალი, შავი „ვოლგა" წამომეწია. მიუხვია და იქვე, სწორედ მწერალთა უცხოეთის კომისიის სამყოფელს მიადგა. ვხედავ, მანქანიდან ბატონი ირაკლი გადმობრძანდა და, მანქანაზე კარგა მაღალმა, ხელი დამიქნია. გავქანდი მისკენ. ვესიამოვნე ძალიან, მომხვია ხელი და პირდაპირ მდიდრულ კაბინეტში შემიყვანა.

— ა, ჩემო ფრიდონ, აწი თუ დაგჭირდე, აქ ვარ... ჩემი თავი გე-გე-ნაცვალოს.

ახლა, მე ხომ მისი ტოლმეგობარი არ ვყოფილვარ, მაგრამ რადგან იმ ცხელ კვალზე იქ აღმოვჩნდი, დამსვა თავისთან ახლო და გული გამიხსნა. საშინლად ნაწყენი იყო ქართულ ცეკაზე. არათუ ნაწყენი — გაჯავრებული. ღმერთმა ნუ ქნას, მე საქართველოდან წავიდე, ახლა ამ წასვლით დავსაჯო მინდა ისინიო.

ბინა უკვე გამიკეთესო, ტელეფონიც ჩამაწერინა. ქალიშვილი სასწავლებელში გადმომყავსო და სხვა.

იმოდენა კაცი ბალანასავით გულნატკენი მელაპარაკებოდა.

იმავე დღეს „გოსლიტიზდატში" საქმე მოვითავე და თბილისისკენ გავემართე. ჩასვლისთანავე გამომცემლობა „საბჭოთა მწერალში" მისვლა მოვიწადინე. მაშინ იგი ხომ პლეხანოვის ბოლოში „გოსკინპრომის" მოპირდაპირე ეზოში მდებარეობდა. შესასვლელთან კონსტანტინე ლორთქიფანიძე, რეზო მარგიანი, ელიზბარ ზედგენიძე და კიდევ ვიღაცები იდგნენ, ბატონმა კონსტანტინემ დამიძახა, — შენ მოსკოვიდან დაბრუნებულს გევხარ, მოდი ახალი ამბები გვითხარიო. საიდან გაიგო იქიდან მოვდიოდი, ახლაც მიკვირს.

მივედი. არაფერი დამიმალია (ირაკლისაც, ვიცოდი ასე უნდოდა). დაწვრილებით მოვუყევი იქ მყოფთ, რაც ვნახე მოსკოვში. ირაკლი საკავშირო მწერალთა კავშირის მდივანია, ახალი „ვოლგა" ემსახურება. კაბინეტში, მასთან ვიჯექი კაიხანს-მეთქი. გახურებულ კითხვა-პასუხობაში ვართ. ვხედავ, ქუჩიდან ცეკას ნომრიანი მანქანა შემოდის. შორი-ახლო ჩერდება, გადმოდის შოფერი. პირდაპირ მოდის ჩვენთან, ამხანაგ ხალვაშს დევი სტურუასთან თხოვენ ახლავეო, — საკმაოდ ხმამაღლა აცხადებს. ვჯდები იმავე მანქანაში, მივდივარ, დევი სტურუას მისაღებში მდივანი ქალი მეუბნება, დაიცადეთ რამდენიმე წუთი, იქ ამხანაგი გრიგოლია აბაშიძე. გამოვა და თქვენ შეხვალთო. გრიგოლი?! შევიმუშნე. რა ვქნა? უხერხულობაა უცნაური. არადა, გრიგოლი არანაკლებ ახლობელი და პატივცემულია ჩემთვის. წასვლა დავაპირე, მაგრამ კაბინეტის კარი იღება და ბატონი გრიგოლი გამოდის.

— ოჰ, ძვირფასო! — მომეფერა, — როგორაა საქმეები აჭარაში... არადა, ხომ იცის საიდან ჩამოველ. არა, გრიგოლი მოსკოვისას არაფერს მეკითხება. მემშვიდობება. მე კი, მდივანი ქალი მთხოვს შევიდე.

შესვლისთანავე დევიმ თავისი დევური ტანი მკვირცხლად აზიდა, ადგილიდან წამოიჭრა და, ძალიან შინაურულად, არაცეკასმდივნურად, მომეჟრიამულა. თავისი სავარძელი მიატოვა. აქეთ, ჩემთან ახლო დაჯდომამდე წუთით სათვალე მოიხსნა, ქათქათა თეთრი ცხვირსახოცით გაამშრალა, ისევ გაიკეთა და — მოსკოვიდან დაბრუნებულხარ დღეს, როგორც მითხრესო, — გამიცხადა. — კი-მეთქი. — ირაკლის შეხვედრიხართ აბაშიძეს, არა? — კი, შევხვდი-მეთქი, — ვპასუხობ.

— მართლა მდივნად დაუჯენიათ მწერალთა კავშირში?

— მდივანია დიახ. ვიყავი მასთან კაბინეტში, მანქანა ემსახურება. მშვენივრად მოწყობილა. ძალიან კმაყოფილი იყო. ისე... გული ტკივა...

**(გაგრძელება იქნება)**

№ 214. ხუთშაბათი, 8 ნოემბერი, 2007 წელი.

## დღევანდელობა

**● სანაკოევის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ დროებითი ადმინისტრაციის ლიდერის ქართველთა მიერ ლიკვიდაცია გამორიცხულია**

**◉ კონფლიქტის ზონა**

# ვინ დაიცვან ქართველებმა - სანაკოევი თუ კოკოითი?





**რუსულ სპეცსამსახურებთან დაახლოებულმა საინფორმაციო სააგენტო „რეგნუმმა" გაავრცელა მორიგი სენსაციური ინფორმაცია რუსი დიპლომატებისა და უშიშროების ფედერალური სამსახურის პროვოკაციული გეგმების შესახებ.**

„რეგნუმი" ერთ-ერთი პოლიტიკური ექსპერტის (მისი ვინაობა არ სახელდება) მოსაზრებებს ახმოვანებს. რუსი სპეციალისტის მტკიცებით, საქართველოს ხელისუფლება ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის თავიდან ასაცილებლად რადიკალური ნაბიჯების გადადგმას გეგმავდა. ექსპერტის აზრით, 2 ნოემბრის ხალხმრავალი მიტინგის თავიდან ასაცილებლად, ქართული ჯარები ცხინვალის რეგიონში უნდა შეჭრილიყვნენ. ამის შემდეგ ოპოზიცია იძულებული გახდებოდა, საპროტესტო გამოსვლები შეეწყვიტა, არადა, მას ერის მოღალატის იარლიყს მიაკერებდნენ.

საინფორმაციო სააგენტოს რესპონდენტი იძიებდა მიზეზს, თუ რის გამო უნდა შეჭრილიყვნენ ჩვენი შეირაღებული ძალები კოკოითის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და უპოვია კიდეც: ქართველები სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დიმიტრი სანაკოევს მოკლავდნენ. ეს 2 ნოემბერს მოხდებოდა. ოპოზიცია ამას ვერაფერს დაუპირისპირებდა და თუ გამოსვლებს გააგრძელებდა, შესაძლოა, მისი ლიდერები მოღალატეობის ბრალდებით დაეპატიმრებინათ კიდეც.

რუსი ექსპერტი სხვა დამაფიქრებელ მოსაზრებასაც გამოთქვამდა. მისი აზრით, თურმე გამორიცხული არ იყო, კოკოითი მოეკლათ. ეს გახდებოდა რუსულ-ქართული სამხედრო დაპირისპირების მიზეზი. ასევე მას მიაჩნდა, რომ, თუ ასე მოხდებოდა, მაშინ მოვლენები 2 ნოემბრამდე განვითარდებოდა. უცნობი სპეციალისტი აცხადებდა, რომ, თუ სცენარი ამგვარად განვითარდებოდა, შეიძლებოდა დაგვესკვნა, რომ რუსეთი საომარი მოქმედებების ხელოვნური განვითარებით შეეცდებოდა სააკაშვილის მხარდაჭერასა და მისი ხელისუფლებაში ყოფნის გახანგრძლივებას.

სანაკოევის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ დროებითი ადმინისტრაციის ლიდერის ქართველთა მიერ ლიკვიდაცია გამორიცხულია.

ქართველი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ „რეგნუმის" ინტერვიუმ ჩვენი სპეცსამსახურები აუცილებლად უნდა დააფიქროს მოვლენების შესაძლო განვითარებაზე.

### ციხე შიგნიდან ტყდება

**ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა, ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის საფუძველზე, დააკავა ლაგოდეხის რაიონის სოფელ კაბალში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები, ცოლ-ქმარი ვალია და ტისია ნარტკოევები.** წინასწარი მოკვლევით ირკვევა, რომ ისინი სისტემატურად ჩადიოდნენ ცხინვალის რაიონში და სეპარატისტთა ე. წ. უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებისგან სოსლან ბიბილოევისა და ვალერი კულიევისაგან იღებდნენ კონკრეტულ დავალებებს. მეუღლეები აგროვებდნენ ინფორმაციებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფების დისლოკაციის ადგილების, მათი შეიარაღების, კონფლიქტის ზონაში გადაადგილებისა და მშენებარე ბაზების შესახებ.

ჯაშუშობის გარდა, ნარტკოევები ლაგოდეხის რაიონში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქე ეთნიკურ ოსებთან ატარებდნენ სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას და გარკვეული ანაზღაურების საფასურად მოუწოდებდნენ მათ, მიეღოთ რუსეთის მოქალაქეობა და დაეწყოთ სამსახური დე ფაქტო ხელისუფლების ძალოვან სტრუქტურებში.

კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ინფორმაციის მიხედვით, ნარკტოევები აგენტურ მუშაობას საქართველოს საზიანოდ კარგა ხანია ეწევიან. ბიბილოვის დავალებით, შარშან შეკრიბეს ინფორმაცია გორის რაიონის სოფელ უფლისციხეში დისლოცირებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საწყობების დაცვის სისტემის შესახებ. ამის შემდგომ სეპარატისტთა უშიშროების სამსახური იქ დივერსიის მოწყობას გეგმავდა.

ცოლ-ქმარი ინფორმაციას აგროვებდა, აგრეთვე, ერედვ-ხეითის შემოვლით გზაზე საქართველოს ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების გადაადგილების შესახებ. ე. წ. უშიშროების სამსახურიდან ნარკტოევების ფინანსური მხარდაჭერით, ტერაქტების შემსრულებლები უნდა შეეგროვებინათ საქართველოში მცხოვრებ ოს მოქალაქეთაგან.

ჩვენი სპეციალისტების ცნობით, ნარკტოევების მიწოდებული ინფორმაცია რუსეთის შესაბამის სამსახურებში იგზავნებოდა, ხოლო კონკრეტულ დავალებებს ცოლ-ქმარი კოკოითის სპეცსამსახურების მეშვეობით იღებდა.

### შეშინებული რუსები და ნაღმზე აფეთქებული მერვეკლასელი

**მას შემდეგ, რაც ჩეჩნეთში მოჩვენებითი სიმშვიდე დამყარდა და მოსახლეობამ დაბრუნება იწყო, მრავალ რეგიონში გაჩნდა დაუსაქმებლობის პრობლემა, განსაკუთრებით, მამაკაცებში. რუსეთის ამ ჩრდილოკავკასიურ რეგიონში ხანგრძლივი ომისგან ყველაფერი დანგრეულია.** ადგილობრივი ხელისუფლება კი თავს დიდად არ იწუხებს გაპარტახებულის აღდგენითა და სამშენებლო პროცესებში შინ დაბრუნებული მოსახლეობის ჩართვით.

რჩება ერთადერთი გამოსავალი – მამრობითი სქესის წარმომადგენლები ძალოვან სტრუქტურებში დაასაქმონ. რუსები ჩეჩნებს, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დასარეგულირებლად, სამშვიდობო ძალებშიც აგზავნიან.

ამჟამად მთლიანად ეთნიკური ჩეჩნებითაა დაკომპლექტებული მშვიდობისმყოფლების „სამხრეთის სექტორის" ბატალიონის შტაბი. დროებითი პუნქტები: „302 – ხუდონი", „304 – ერისწყალი", „305 – საბერიო", „309 – ნაბაკევი" და „310 – ფიჩორა".

მოჩვენებითი სიმშვიდის მიუხედავად, ჩეჩნეთში მდგომარეობის სტაბილიზაციისა და „რუს და ჩეჩენ ხალხებს შორის აღდგენილი კეთილი ურთიერთობისა და ურთიერთნდობისა", ეროვნებათშორისი დაპირისპირება ყოველ ნაბიჯზე შეიმჩნევა, მათ შორის, ერთიან შეიარაღებულ ძალებშიც.

რამდენიმე დღის წინათ საბერიოს დროებით საგუშაგოზე მოხდა დაპირისპირება რუს და ჩეჩენ სამხედრო მოსამსახურეებს შორის. სიტყვიერი შეურაცხყოფა ხელჩართულში გადაიზარდა. შედეგად, რვა რუსმა სამხედრომ სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებები მიიღო, ხოლო ლეიტენანტი შარაპოვი ჰოსპიტალიზებულია.

ეს სხვა საგუშაგოებსაც გადაედო. ჩეჩნებმა სასტიკად სცემეს რუსი მშვიდობისმყოფელების ლეიტენანტი ბასროვი. ისინი რუსებს დაემუქრნენ, ყველას ყელებს გამოგჭრითო.

დანაქადნებით შეშინებულმა რუსმა მშვიდობისმყოფელებმა საგუშაგო პოსტების გაძლიერება დაიწყეს. ამავდროულად, საგუშაგოების დროებითი შტაბების მიმდებარე ტერიტორიებიც დანაღმეს. დანაღმვა ფარულად მიმდინარეობდა. ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებული არ იყო.

ცისფერჩაფხუტიანების მიერ უსაფრთხოების ზომების აშკარა უგულებელყოფას ტრაგიკული შედეგი მოჰყვა. რუსეთის სამშვიდობოების საგუშაგოსთან, სოფელ მეორე ოტობაიაში ნაღმზე აფეთქდა სკოლიდან სახლში მომავალი მერვეკლასელი ლევან ბაგათელია. იგი ადგილზევე გარდაიცვალა.

### სამშვიდობოები იარაღს ყიდიან და განურჩევლად ყველას ესვრიან

**რუსეთში ბოლო დროს საგრძნობლად გახშირდა იარაღის ტარებისათვის მოქალაქეთა დაკავების ფაქტები. იმათა გაურკვეველი წარმომავლობის იარაღით ჩადენილმა დანაშაულებმა. დაკავებულთა უმეტესობა (განსაკუთრებით, რფ-ს სამხრეთ რეგიონებშიძ აცხადებს, რომ მათ მიერ შეძენილი იარაღი აფხაზეთიდან არის შემოტანილი (იგულისხმება სეპარატისტული აფხაზეთიძ.**

შექმნილი სიტუაციის გამო, კრასნოდარის მხარის გუბერნატორმა ალექსანდრე ტკაჩოვმა გამოსცა ბრძანება საქართველო-რუსეთის აფხაზეთის საზღვრის მონაკვეთზე კონტროლის გაძლიერების თაობაზე.

ქართველი ექსპერტები, ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლები საჯაროდ აცხადებდნენ, რომ რუსი ცისფერჩაფხუტიანები დისლოკაციის ადგილებში სხვადასხვა სახის კონტრაბანდას ეწევიან (მათ შორის, იარაღითძ და საერთოდ არ ასრულებდნენ მოვალეობას.

რამდენიმე დღის წინათ, გალის რაიონში სოფელ საბერიოში, რუსი მშვიდობისმყოფელების პოსტის ახლოს, ვარდიების ოჯახს ხუთი ნიღბიანი შეიარაღებული დაესხა თავს. ვარდიებს ჯართის ჩამბარებელი პუნქტი ჰქონდათ გახსნილი. მოძალადეებმა იცოდნენ, რომ ჯართი ახალი ჩაბარებული ჰქონდათ.

მომხვდურებმა ოჯახის ყველა წევრი გათოკეს და აწამეს. ისინი 20 ათას დოლარს მოითხოვდნენ. უარის მიღების შემდეგ ოჯახის უფროსი და დიასახლისი გახურებული უთოთი აწამეს. ყაჩაღებმა გაიტაცეს 15 ტონა ჯართით დატვირთული სატვირთო ავტომანქანა, ორი ათასი ლარის ძვირფასეულობა.

მიუხედავად იმისა, რომ ყაჩაღობის ფაქტი რუსების საგუშაგოსთან მოხდა და ვარდიების ოჯახიდან წივილ-კივილი ისმოდა, ცისფერჩაფხუტიანებს არათუ რეაგირება არ მოუხდენიათ, ადგილობრივი სამართალდამცავებისთვისაც არ შეუტყობინებიათ.

ნაწამები ვარდიების საავადმყოფოში გადაყვანა მხოლოდ მეორე დღეს მოხერხდა, რადგანაც გვიან საათებში მეზობელთაგან სახლიდან გამოსვლა ვერავინ გაბედა: რუსი „მშვიდობისმყოფელები" სიბნელეში ყველა ფეხით მოსიარულეს განურჩევლად ესვრიან.

**ზაზა ბილიხოძე**

**◉ პრობლემა**

# ოჯახური ძალადობის

***საპატრულო პოლიციას ყოველი მეოთხე გამოძახება ოჯახური ძალადობის ფაქტის გამო ხდება. კანონი ოჯახურ ძალადობაზე საქართველოს პარლამენტმა შარშან მიიღო და 2008 წლიდან ამოქმედდება.***

***– ბევრს არ სჯერა, რომ ოჯახური ძალადობა სერიოზული პრობლემაა. მხოლოდ მას შემდეგ იჯერებენ, როცა თავშესაფარში ხვდებიან და უსმენენ ადამიანებს, რომლებიც საკუთარ ოჯახში ძალადობის მსხვერპლებად იქცნენ, – ამბობს ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის თავმჯდომარე ნატო შავლაყაძე.***

საქართველოში უკვე არსებობს ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარი აჭარაში, სულ მალე თბილისშიც გაიხსნება. თბილისში არსებობს ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარიც, მსხვერპლთა კრიზისული ცენტრები კი საქართველოს თითქმის ყველა რეგიონშია.

– ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის თავშესაფარი აუცილებელია, რათა იგი განერიდოს კონფლიქტურ სიტუაციას. მსხვერპლი ხშირად იმიტომ რჩება მოძალადესთან, რომ წასასვლელი არ აქვს. ამიტომაა თავშესაფრის მუშაობა აქტუალური, – ამბობს ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის წარმომადგენელი თინათინ მოსიაშვილი.

ნატო შავლაყაძის ინფორმაციით, 2004 წლიდან ორგანიზაციის თავშესაფარში 90-ზე მეტი მსხვერპლი მოხვდა. თავშესაფარი, რომელიც მაქსიმუმ ათ მსხვერპლზეა გათვლილი, გასაიდუმლოებულია და მხოლოდ საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა იციან მისი ადგილმდებარეობა. მათ არცთუ იშვიათად უხდებათ მოძალადე ოჯახის წევრებისგან გამოღწეული მსხვერპლის თავშესაფარში მიყვანა, სადაც მათ უფასოდ ეხმარებიან ფსიქოლოგები, იურისტები. თავშესაფარში მათ მაქსიმუმ სამი თვის განმავლობაში შეუძლიათ ცხოვრება, ვიდრე თავად არ შეძლებენ პირად უზედურებას გაუმკლავდნენ. თუმცა, გამონაკლისებიც არსებობს. ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის თავშესაფარში წელიწადზე მეტია ჩვილ ბავშვთან ერთად ცხოვრობს გოგონა, რომელიც ოჯახური ძალადობის მსხერპლია მამის მხრიდან.



–თავშესაფრიდან ზოგიერთი მსხვერპლი ისევ ოჯახს უბრუნდება. სამწუხაროდ, მათ ჰგონიათ, რომ მათი მდგომარეობა შეიცვლება, გამოსწორდება... თუმცა ბევრი ისევ თავშესაფარში ბრუნდება. უმეტესობა ალკოჰოლიკი ან ნარკომანი ოჯახის წევრების მსხვერპლი ხდება, – ამბობს ნატო შავლაყაძე.

ძალადობის ფაქტებზე მომართვა კახეთიდან უფრო მეტია, ვიდრე საქართველოს სხვა რეგიონებიდან. **ოჯახური**

№ 214. ხუთშაბათი, 8 ნოემბერი, 2007 წელი.

# დრო

● დღეს საქართველო, გადაუწყვეტი კონფლიქტების გამო რთულ სიტუაციაშია (აფხაზეთი, ოსეთი)ძ. როგორც ჩანს, რუსეთს არ აწყობს დამოუკიდებელი საქართველო, მისი დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა

◎ კონტაქტები: გერმანია-საქართველო

# არტურ ლაისტის მემკვიდრე, ქართული ენის სპეციალისტი მიხაელ იობი და თბილისის მონატრება

*სახელი: მიხეილ.*
*გვარი: იობი.*
*ასაკი: 59 წელი.*
*ოჯახი: მეუღლე და ერთი ვაჟი*
*პროფესია: მეცნიერი – ზოგადი და ინდოევროპული ენათმეცნიერების პროფესორი და დოქტორი.*
*მოღვაწეობა: ქ. გიოტინგენის გეორგ-აუგუსტის უნივერსიტეტი.*

***კორესპონდენტი: ქ. გიოტინგენის გეორგ-აუგისტის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი მაია აბრალავა (გიოტინგენის საქალაქო სასამართლოს თარჯიმანიძ***

**– ბატონო იობ, მახსოვს შეხვედრა თქვენს მეუღლესთან. გაოცებული ვიყავი, როცა მითხრა, რომ თქვენ ქართულ ენას ფლობთ. დაახლოებით ასეთი რეაქცია ჰქონდა მამაჩემს, ზურაბ აბრალავასაც, როცა მკითხა: გერმანელია ის პროფესორი ქართულად რომ ლაპარაკობსო?**


მიხაელ იობი

**ბატონო მიხაელ, თქვენ ასწავლით ქ. გიოტინგენის გეორგ-აუგუსტისის უნივერსიტეტში ქართულ და ქართველურ, ტარაბასარანულ (დაღესტნურძ, ხუნძურ, ადიღეურ (ჩერქეზულძ ენებს. ასევე ფლობთ მეგრულ ენას. რამ განაპირობა თქვენი დაინტერესება ქართული და ქართველური ენებით?**

– 1996 წელს ქ. ბოხუმის (გერმანიაძ უნივერსიტეტში გავიცანი პროფესორ კარლ-ჰორსტ შმიდტი. უნდა აღვნიშნო, რომ ის ეკუთვნის იმ პიროვნებებს, რომლებიც ქართულ, სვანურ, ლაზურ, მეგრულ ენებს ფლობდნენ. მან ეს ენები შეისწავლა პროფესორ გერჰარდ დითერსისგან, რომელმაც 30-იან წლებში პირველად დაიწყო სამეცნიერო მოვაწეობა ქართულ ენაზე. ეს უძველესი ენაა, თვით ერი უნიკალურია სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრიობით, საოცარი კულტურით. გასაოცარია ქართული კალიგრაფია. ასევე დამაინტერესა ქართულმა ენამ თავისი „ტიპოლოგიით“, გრამატიკით, რომელიც არცთუ ისე ადვილია.

**– ჩანს, რომ თქვენ გიზიდავთ სირთულეების გადალახვა.**

– მართალი ხართ. რაც უფრო რთულია ენა, მით უფრო საინტერესოა მისი შესწავლა.

**– რა თემებს მოიცავს თქვენი ლექციები?**

– ქართული ენა და ქართველური ენები.

**– რამდენი სტუდენტი ესწრება თქვენს ლექციებს და რა მიზნით სწავლობენ ამ ენებს?**

– ჯგუფი შედგება ათი სტუდენტისგან. ერთ-ერთი სტუდენტი არის არქეოლოგი. სამომავლოდ აპირებს საქართველოში არქეოლოგიური გათხრების ჩატარებას. ამიტომაც სწავლობს ქართულ ენას, რათა შეძლოს ქართული პუბლიკაციების წაკითხვა და გაგება. დანარჩენისთვის, ქართული ენა არის ძალიან საინტერესო. ლექციებს ხშირად ესწრებიან ქართველი სტუდენტებიც. იღებენ ინფორმაციებს მშობლიურ ენაზე.

**– საინტერესოა, თქვენს სტუდენტებს კავშირი თუ აქვთ ქართველ სტუდენტებთან?**

– ურთიერთობა სტუდენტებს შორის იყო და არის. ასევე ჩვენთვის, ენათმეცნიერებისთვის, საინტერესოა როგორ საუბრობენ ქართველი ახალგაზრდები.

**– ბატონო მიხაელ, თქვენ იყავით საქართველოში?**

– 80-იან წლებში, ჩემს მეგობართან ერთად ვიმყოფებოდი თბილისში, მცხეთაში და შატილში.

**– დღეს გაქვთ კავშირი საქართველოსთან?**

– ჩემს მეგობრებთან მაქვს. სამწუხაროდ, ორი მათგანი გარდაიცვალა (გურამ თოფურია, დაღესტნური ენების სპეციალისტი და ენის ფილოსოფიის მეცნიერიძ. მაქვს კავშირი ვოვა კიკილაშვილთან (კომპიუტერის ლინგვისტიძ, თამაზ გამყრელიძესთან, მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერთან (ენათა მეცნიერიძ. ის საოცარი ადამიანია, ფლობს მრავალ ენას. აქ როცა იყო სტუმრად, ვიყავით იტალიელების რესტორანში. იქაურებს ბრწყინვალედ ესაუბრებოდა იტალიურად.

**– ქართულ ლიტერატურულ ან ისტორიულ თარგმანზე თუ მუშაობთ?**

– დღესდღეობით არა. რამდენიმე წლის წინათ თეოლოგ ჰაინრიხ გრეევენთან ერთად ვთარგმნეთ თამარ ქაჯაიას ოთხთავის უძველესი ტექსტები.

**– ქართველი მწერლებიდან ვინ დაგაინტერესათ?**

– ვაჟა ფშაველამ, ფილოსოფიით, დიალექტით. ასევე, ილია ჭავჭავაძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ, გალაკტიონ ტაბიძემ, შოთა რუსთაველმა და ა. შ. „ვეფხისტყაოსანი“ იყო ჩემი სადოქტორო დისერტაციის თემა. მქონდა გამოცდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე. სამწუხაროა, რომ ამ გენიოსებს ნაკლებად იცნობს მსოფლიო, მათ შორის გერმანიაც.

**– როგორც ცნობილია, სტალინმა იოსებ ჯუღაშვილმა გაყო გერმანია. ედუარდ შევარდნაძემ გააერთიანა. როგორ უყურებთ ამ ქართულ ფენომენს?**

– მე, ვხედავ განსხვავებას ყოფილი საბჭოთა კავშირის მმართველ იოსებ ჯუღაშვილსა და საგარეო საქმეთა მინისტრ ედუარდ შევარდნაძეს შორის.

**– დღევანდელ საქართველოზე რა შეხედულება გაქვთ?**

– დღეს საქართველო, გადაუწყვეტი კონფლიქტების გამო რთულ სიტუაციაშია (აფხაზეთი, ოსეთიძ. როგორც ჩანს, რუსეთს არ აწყობს დამოუკიდებელი საქართველო, მისი დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა. სასიამოვნოა, რომ თქვენთან კორუფცია თანდათანობით უკან იხევს. თუმცა, სოციალური ვითარება კვლავ რთულია. საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი კულტურული ტრადიციები აქვს (კავკასიურ ხალხებთან ერთადძ. დაახლოებით სამი ათასი წელია, რაც თავისი სახელმწიფოებრიობა შეინარჩუნა. ამიტომ, ოპტიმისტურად ვუყურებ მომავალს.

**– რომელი ქართული ტრადიციები არის თქვენთვის ცნობილი?**

– განსაკუთრებით ქართული მასპინძლობა. ერთხელ მე და გურამ თოფურია რიგში ვიდექით სახაჭაპურეში. გურამი მივიდა წინა რიგში მდგარ ხალხთან და უთხრა, რომ მე სტუმარი ვარ. უცბად დაგვითმეს ადგილი და წინ გაგვიშვეს. ერთხელ მეტროში, ბილეთის გარეშე მამგზავრეს. ასევე, სტუმრად ვიმყოფებოდი ოჯახებში, რამდენიმე წუთში სუფრას აწყობდნენ. მე აღფრთოვანებული ვარ ქართველების სტუმართმოყვარეობით.


მაია აბრალავა გერმანელ მეუღლესთან ერთად

**– გაგვაცანით თქვენი სამომავლო გეგმები.**

– უნივერსიტეტში მრავალწლიანი ადმინისტრაციული საქმიანობის შემდეგ მსურს, რომ უფრო მეტი დრო დავუთმო გამოკვლევებს. მინდა ურთიერთობების გაღრმავება საქართველოსთან. აუცილებლად უნდა ვნახო თანამედროვე საქართველო, იგი არის საინტერესო, მრავალფეროვანი ქვეყანა, რომლის გაცნობა აუცილებელია.

**– დიდი მადლობა, რომ ინტერვიუსთვის თქვენი ძვირფასი დრო დაგვითმეთ. გისურვებთ წარმატებებს. იმედი მაქვს, მრავალ თაობებს გადასცემთ თქვენს ცოდნას.**

– გმადლობთ. მე ყოველთვის მიხარია თქვენთან შეხვედრა და საუბარი.

***რედაქციისგან:***

***მაია ფოთში ჩვენი გაზეთის საკუთარი კორესპონდენტის ზურაბ აბრალავას ქალიშვილია, იგი 10 წელია გერმანიაშია, დაამთავრა გიოტინგენის უნივერსიტეტი, მუშაობს წიგნებზე „გერმანული ენის გრამატიკის ზოგიერთი საკითხისათვის“, „ქართულ-გერმანული ლექსიკონი“ და სხვა. ამჟამად ამავე ქალაქის სასამართლოს თარჯიმანია, თანამშრომლობს ზემოაღნიშნულ უნივერსიტეტთან, გერმანელ ახალგაზრდებს ასწავლის ქართულ ენას.***

***იგი გათხოვდა გერმანელ ბიზნესმენზე მატიას კეტლერზე. წარმატებებს ვუსურვებთ მას!***

◎ პრობლემა

# მსხვერპლნი



**ძალადობა თავისი შედეგებით ძალიან ძვირი უჯდება სახელმწიფოს.** ერთი ახალგაზრდა ქალბატონი 17 წელიწადი ძალადობის მსხვერპლი იყო. მას 17 და 14 წლის შვილები ყავს, მასზე ძალადობდა მეუღლე, დედამთილი, დედა. იგი ფიქრობს, რომ საზღვარგარეთ გაიპაროს. ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომის ერთ-ერთი მიზეზი, სწორედ ოჯახური ძალადობაა.

– მამაჩემმა სამი შვილი მიატოვა დ ვიღაც ქალს გადაეკიდა. დედაჩემი ვინ არის? მიჭირს, სახელი „დედა“ ვუწოდო ქალს, ვინც გაგვზარდა, თუმცა, რაღა გაგვზარდა. მე და ჩემი და-ძმა პატარები ვიყავით, როცა მან ინტერნატში ჩაგვაბარა. საკუთარი ბავშვობიდან მახსოვს ინტერნატის ჩამოტყავებული კედლები, ჟანგიანი ონკანი და ტარაკნიანი საჭმელი. მე და ჩემს ძმას მიწაზე დაგდებული პურის ნარჩენებიც გვიჭამია და ნახევრადდამპალი ხილიც...

მერე ჩემს ცხოვრებაში კიდევ ერთი უბედურება მოხდა: საკუთარმა ძმამ გამაუპატიურა: ნაცემი, დალილავებული და გაუბედურებული საწოლზე ვეგდე და ვტიროდი... – ყვება ერთ-ერთი ოჯახური ძალადობის მსხვერპლი.

მეორე კი შვილის აგრესიის მსხვერლია: – ჩემს შვილს ნარკომანიისგან ძვლის დაშლა აქვს, ეტყობა სტკივა და ამ ტკივილისგან გამწარებული ჩემზე ანთხევს ბრაზს.

– კანონი ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ უნდა დაიხვეწოს, ამოქმედდეს და შევიდეს ძალაში. კანონი ნაჩქარევადაა მიღებული და ძალიან ბევრი ხარვეზია მასში, – ამბობს იურისტი მანანა ფურცხვანიძე.

პროცესიალურად მსხვერპლმა უნდა დაამტკიცოს, რომ ის ნამდვილად ძალადობის მსხვერპლია. არის შემთხვევები, როდესაც ე. წ. მსხვერპლი შანტაჟს აწყობს და მსხვერპლის როლს თამაშობს.

– ძალადობის მსხვერპლები ზოგჯერ თავს იდანაშაულებენ და იმასაც კი განიცდიან, რომ ოჯახი დატოვეს. ყველაზე მეტად მათ აწუხებთ ის, თუ რას იტყვიან მეზობლები, მეგობრები მისი სახლიდან წამოსვლის შემთხვევაში. ანუ, მათთვის საზოგადოების აზრია მნიშვნელოვანი. ერთ-ერთი მოძალადე, მსხვერპლი რომ ოჯახში დაბრუნებულიყო, ფსიქოლოგიურ სეანსებზეც კი დადიოდა.

– 98 პროცენტი მოძალადეებისა არის ლოთი, ნარკომანი. მოძალადეს დამორჩილებული ჰყავს მსხვერპლი, ძლიერი მამაკაცი არასოდეს ძალადობს ქალზე, ძალადობს ის, ვინც თამაშობს, რომ ძლიერია, არასრულყოფილების კომპლექსი აქვს. მოძალადე თუ მსხვერპლს კარგავს, მთელ ცხოვრებას აზრი ეკარგება, მსხვერპლსაც იგივე ფსიქოლოგია აქვს. ამ სახის სიყვარული არ არის ჯანსაღი. მათ ფსიქოლოგის დახმარება სჭირდებათ, – ამბობს ფსიქოლოგი მანანა სონღულაშვილი, რომელიც დიდი ხანია ოჯახური ძალადობის მსხვერპლებთან მუშაობს.



**ოლღა ცისკარიშვილი**

# რეკვიემი

**მზია პაპავა 2 ნოემბერს გარდაიცვალა. მას ზუსტად 20 დღე დააკლდა, რომ 90 წლისა შესრულებულიყო. აქედან 86 წელიწადი მან უცხო მიწაზე გაატარა, მაგრამ ერთი წუთითაც არ დავიწყებია, რომ ქართველი იყო და შვილებიც ნამდვილ ქართველებად აღზარდა თავის მეუღლესთან და მშობლებთან ერთად**



## შორეული ახლობელი

**არგენტინიდან სამწუხარო ამბავი მოვიდა: გარდაიცვალა მზია პაპავა-ჭეიშვილი – ქართველ ემიგრანტთა ერთი ყველაზე ძლიერი და სახელოვანი ოჯახის ღირსეული წარმომადგენელი.**

მისი მშობლები – თამარ და აკაკი პაპავები – სახელოვანი მწერლები და მოღვაწეები იყვნენ, რომელთა სახელები, რომელთა წიგნები და შემოქმედება გასული საუკუნის ბოლოსღა დაიბრუნა საქართველომ. პაპავების ფესვმაგარი ოჯახი ქართული კულტურის მძლავრი კერა იყო ჯერ გერმანიაში და შემდეგ არგენტინაში. მზია პაპავა და მასზე ოთხი წლით უფროსი მისი და ტურფა, ბავშვობიდანვე ქართულ გარემოში და ქართული სულისკვეთებით იზრდებოდნენ, უფრო ქართულ გარემოში და უფრო ქართული სულისკვეთებით, ვიდრე ეს იმ დროის საქართველოში იყო შესაძლებელი. თამარ და აკაკი პაპავები გოგონებისთვის სპეციალურად ადგენდნენ ქართულ რებუსებს, შარადებსა თუ კროსვორდებს, წერდნენ ლექსებს და სათუთად ინახავდნენ ბავშვების გულუბრყვილო ჩანაწერებსა თუ ბავშვურ ნახატებს. მოგვიანებით ქალიშვილებისთვის დაწერილი და მათდამი მიძღვნილი აკაკი პაპავას ლექსების ორი მომცრო კრებული, „ბაბუტას ლექსების" სახელწოდებით, სტამბურადაც დაიბეჭდა. ერთ ასეთ კრებულში შესულია 1924 წელს ჰამბურგში დაწერილი ლექსი სათაურით „მზიას ალბომში":

**პატარა მზიას ჰქონია**
**ეს შვენიერი რვეული,**
**თვითონაც ყველა**
**ბავშვებში**
**იყო და არის რჩეული...**

**მას უყვარს თვისი ქვეყანა,**
**ვარდებად გადარეული,**
**ქართლის კოშკები,**
**ტაძრები,**
**იაზმა გადავლებული.**

**ცხრათვალა წყაროთ**
**დუდუნი,**
**ცა, მუდამ გადარებული...**
**ცხად-სიზმრად მხოლოდ**
**ეს ახსოვს,**
**დამღერს**
**გულ-გალაღებული.**

**ან განა იცის მზიამა,**
**რომ მტერი ხმალ-აღებული,**
**მუსრს ავლებს**
**საქართველოსა,**
**შურითა აღტყინებული.**

**ერთხელ მის ყურსაც**
**მოხვდება,**
**კვნესა ქართველი ქალისა,**
**იქნებ თავს იდოს, ამირანს**
**ხელს მისცეს ტარი**
**ხმალისა..."**

ტურფა და მზია პაპავებისთვის დაწერილ საბავშვო ლექსებზე, მათ გარდა, ქართველ ემიგრანტთა პირველი თაობის არაერთი ბავშვი აღიზარდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ზრდიდნენ თამარ და აკაკი პაპავები ჯერ შვილებს და შემდეგ შვილიშვილებს, შეიძლება საოჯახო პედაგოგიკის მეტად საინტერესო და სასარგებლო სახელმძღვანელო დაიწეროს.

თამარ და აკაკი პაპავების მეცადინეობით, არაერთ ოჯახურ ტრადიციას დაედო სათავე. ისინი საყოველთაო, ეროვნულ თუ ოჯახურ დღესასწაულებთან იყო დაკავშირებული: შობა, ახალი წელი, აღდგომა, თამარობა, 26 მაისი, 29 აგვისტო, ოჯახის წევრთა დაბადების დღეები...

და რაც მთავარია, ყველა ასეთი დღესასწაული დოკუმენტურად ფიქსირდებოდა ხოლმე ამა თუ იმ ფორმით. პაპავა-ჭეიშვილების ოჯახურ არქივში დაცულია ერთი ასეთი დოკუმენტი. ეს გახლავთ გერმანული ღია ბარათი, რომლის უკანა მხარეს ოთხი სხვადასხვა კალიგრაფიით ოჯახის წევრთა წინასაახალწლო სურვილები და განწყობილებები დაფიქსირებული.

თავში ოჯახის უფროსის ხელით წერია:

„ქ. ჰამბურგი. 1933 წ. 31 დეკემბერი, ღამის 11 ს და 20 წუთი. ვეგებებით ახალ წელს და ვისურვებთ 1934 წლისაგან..."

მერე ოჯახის წევრები თავ-თავიანთ სურვილებს წერენ. 16 წლის მზია პაპავას ასეთი რამ უნატრია საახალწლოდ:

„მე ვთხოვ 1934 წელს, რომ ჩემს საყვარელ დედ-მამას ჯანმრთელობა აჩუქოს და ტურფას და მე გვაჩუქოს, რომ იმის ღირსი ვიყოთ, ქართველები რომ ვართ და მერე ვთხოვ საქართველოს განთავისუფლებას და ჩვენი საყვარელი ბებოს კარგად ყოფნას. მზია".

მზია პაპავა უკვე მაშინ, როცა ნატრობდა, ქართველობის ღირსი ვიყოო, მართლა ღირსეული ქართველი იყო და ასეთად დარჩა იგი მთელი მისი ცხოვრების მანძილზე.

სწორედ მზია პაპავას დამსახურებაა, რომ მშობლების გარდაცვალების შემდეგ პაპავა-ჭეიშვილების სახლი ბუენოს-აირესთან მდებარე პატარა ქალაქ ლომას-დე-სამორაში კვლავ დარჩა ქართული სულისა და ქართული კულტურის ერთ-ერთ უძლიერეს კერად საქართველოს გარეთ. თავის დროზე ამ სახლში დიდხანს ცხოვრობდა და მუშაობდა ვიქტორ ნოზაძე. მზია პაპავას ახლო ურთიერთობა ჰქონია გრიგოლ რობაქიძესთან, რომელსაც ძია გრიგოლს ეძახდა. მის მეხსიერებაში ღრმად იყო აღბეჭდილი შეხვედრები ქართული პოლიტიკური თუ კულტურული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან: ნოე ჟორდანიასთან, სამსონ ფირცხალავასთან, ლადო ახმეტელთან, გიორგი მაჩაბელთან, გიორგი კვინიტაძესთან, კიტა ჩხენკელთან, ირაკლი ბატონიშვილთან, გიორგი ყიფიანთან, სხვებთან...

ქართულმა საზოგადოებრიობამ მზია პაპავა-ჭეიშვილი გასული საუკუნის 80-იან წლებში გაიცნო რეზო თაბუკაშვილის ცნობილი კინოტრილოგიიდან „შორიელთა სიახლოვე". ამ ფილმში მოთხრობილია თბილისის სიონის ტაძრის საკურთხევლის გადასაფარებლის ისტორია, რომელიც 1936 წელს გერმანიაში შეუძენია აკაკი პაპავას და რომელიც მისმა შვილებმა რეზო თაბუკაშვილს საქართველოში გამოატანეს. მზია პაპავა მის მეუღლესთან ალექსანდრე ჭეიშვილთან ერთად რეზო თაბუკაშვილის კეთილი მასპინძელი იყო არგენტინაში. მანამდე მათ სტუმართმოყვარე ოჯახს სტუმრობდნენ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე აკრედიტებული ქართველები: მიხეილ კაკაბაძე, ნოდარ გუგუშვილი, არჩილ გოგელია, გურამ ფანჯიკიძე, კოტე მახარაძე, გიგლა ფირცხალავა და დავით ქლიბაძე.

„ისინი არგენტინაში საქართველოთი ცხოვრობენ, საქართველოთი ცოცხლობენ. თუ სადმე წიგნში, აფიშაზე ან გაზეთებში თვალს მოჰკრავენ ქართულ გვარს და ძეგლს, ქართულს რაიმეს, შეფრხთიალდებიან, თითქოს ქართულ მიწაზე დაედგათ ფეხი", – ამბობდა პაპავა-ჭეიშვილების ოჯახების შესახებ მიხეილ კაკაბაძე 1981 წელს დაწერილ და 1988 წელს გამოქვეყნებულ თავის წერილში.

მიხეილ კაკაბაძე იმავე წერილში ასე აღწერს პაპავა-ჭეიშვილების ქართულ კერას არგენტინაში:

„თაროებიდან და კარადებიდან იმზირებიან შოთა რუსთაველი და ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და ალექსანდრე ყაზბეგი, ივანე ჯავახიშვილი და ექვთიმე თაყაიშვილი, „ჯეჯილის", „მნათობისა" და „ცისკრის" ტომები. ორივე ოჯახში ქართული წიგნებისა და ალბომების უმდიდრესი ბიბლიოთეკაა. აქ მრავლად ნახავთ უნიკალურ ქართულ გამოცემებს და სხვადასხვა ენაზე დასტამბულ წიგნებს საქართველოს შესახებ".

ამ ოჯახის სტუმრები სხვადასხვა დროს ყოფილან ქართველი მოცეკვავეები, მომღერლები, მსახიობები, სპორტსმენები... მზია დეიდას ქართული მასპინძლობა ახსოვთ ნონა გაფრინდაშვილს, მაია ჩიბურდანიძეს, ნანა ალექსანდრიას, ნანა იოსელიანს, სოფიკო ჭიაურელს, რობიკო სტურუას, რეზო ეგაძეს, გია თორთლაძეს, გოჩა შათირიშვილს... 1979 წელს მეც მქონდა ბედნიერება, მზია დეიდისა და მისი ქალიშვილების – გულნარასა და სალომეს სტუმარი ვყოფილიყავი ლომას-დე-სამორაში.

იმ ხანმოკლე სტუმრობისას საშუალება მომეცა, თვალნათლივ დავრწმუნებულიყავი იმაში, რაც მანამდეც მქონდა გაგებული მიშა კაკაბაძისგან, ნოდარ გუგუშვილისა თუ არჩილ გოგელიასაგან: მზია პაპავა-ჭეიშვილი ყველა ქართული საქმის შუაგულში ტრიალებდა არგენტინაში. ვინც უნდა ჩამოსულიყო საქართველოდან, რა საქმეც უნდა ჰქონოდა, მზია დეიდას მის გვერდით დგომა თავის მოვალეობად მიაჩნდა.

იმხანად არგენტინაში მცხოვრებ დოქტორ გოჩა შათირიშვილთან ერთად ბუენოს-აირესში ვიყავი, ურუგვაის საელჩოში და რაკი ვიცოდი, რომ მზია დეიდა ნერვიულობდა, მომცემდნენ თუ არა ურუგვაელები ვიზას, როგორც კი საქმეს სასიკეთო პირი დავატყვე, დავურეკე, ყველაფერი რიგზეა-მეთქი. კიდევ კარგი, დამირეკე, ახლა სწორედ იმაზე ვფიქრობდი, როგორ მომეძებნეთ, რობიკოს სასწრაფოდ სჭირდება დახმარება, თარჯიმანი გაფიცულაო; გულნარასაც დავურეკე, ნინოსაც, სალომესაც, მაგრამ არც ერთმა არ იცის დანამდვილებით, მოახერხებენ თუ არა 4 საათისთვის თეატრში მისვლასო; იქნებ გოჩამ შეძლოსო. რობერტ სტურუა ბუენოს-აირესში, ალვეარის თეატრში სპექტაკლს დგამდა და პრემიერამდე რამდენიმე დღე იყო დარჩენილი. თარჯიმანს, იმაში დაწმუნებულს, რომ პროდიუსერს სხვა გზა არ ექნებოდა, ჰონორარის მომატება მოუთხოვია; მაგრამ სანამ ქართველი რეჟისორის არგენტინელი პროდიუსერი ამ ამბავს გაიგებდა და რაიმეს იღონებდა, რობიკოს რეპეტიცია ეშლებოდა და სასოწარკვეთილს მზია დეიდასთვის დაურეკავს. იმანაც ყველას მიაწვდინა ხმა – თავის შვილებსაც, დისშვილებსაც, გოჩასაც – ყველას, ვინც იმ წუთში ბუენოს-აირესში იყო და ქართული და ესპანური იცოდა. მობილური ტელეფონი მაშინ ახალი ხილი იყო და არც ერთ ჩვენგანს, ვისაც მზია დეიდამ ხმა მოგვაწვდინა, მობილური ტელეფონი არ გვქონია. მე და გოჩა, რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ გავეშურეთ ალვეარის თეატრისაკენ. რომ მივედით, ოთხს 15 წუთი აკლდა. უნდა გენახათ რობიკო სტურუას ამაყი და ბედნიერი სახე. არა იმიტომ, რომ ჩვენ მივედით, არამედ იმიტომ, რომ მე და გოჩა პირველები სულაც არ ვყოფილვართ და ჭეიშვილები უკვე იქ დაგვხვდნენ! ხოლო ამ ყველაფრის ორგანიზატორი და დირიჟორი – მზია დეიდა ყველას შინ მიგველოდა და ვახშამს ამზადებდა.

# „იმის ღირსი ვიყოთ, ქართველები რომ ვართ..."

მზია პაპავა-ჭეიშვილი მარტო მის შვილებს, დას, დისშვილებს, არგენტინასა თუ საქართველოში მცხოვრებ ნათესავებს როდი მოუკვდა. იგი მოგვიკვდა ჩვენც, ვინც თუნდაც ერთხელ მაინც შევხვედრივართ მას, ვისაც გვიგრძვნია მისი დედაშვილური სითბო და ყურადღება. ჩვენც მისი ჭირისუფლები ვართ. მზია პაპავა-ჭეიშვილის ჭირისუფალია ყველა ქართველი, ვისაც რეზო თაბუკაშვილის ფილმი უნახავს, ვისაც თამარ და აკაკი პაპავების ოჯახის შესახებ რაიმე სმენია.

თამარ და აკაკი პაპავების უმდიდრესი ბიბლიოთეკა და უძვირფასესი არქივი სწორედ მზია პაპავა-ჭეიშვილის ოჯახში ინახება ლომას-დე-სამორაში, ალვარეს თომასის ქუჩაზე მდებარე სახლში. ამ არქივის მცირე ნაწილი მზია დეიდამ საქართველოში გამომატანა და წლების განმავლობაში იგი გაზეთ „სამშობლოს" რედაქციაში იყო დაცული. წელს ამ არქივმა, გაზეთ „სამშობლოს" არქივთან ერთად, მისამართი შეიცვალა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაიდო ბინა. ამ ცენტრის დირექტორის ბუბა კუდავას თანადგომითა და მოწადინებით, აქ გაიხსნება თამარ და აკაკი პაპავების კაბინეტი, რომლის პრეზენტაციაც უახლოეს პერიოდშია დაგეგმილი. ჩემდა სავალალოდ, ვერ მოვასწარი, მზია დეიდასათვის ეს სასიხარულო ამბავი მეცნობებინა – საქმის დაგვირგვინებას ველოდებოდი. ნეტა, არ დავლოდებოდი და წინასწარ მეცნობებინა, – მზია დეიდა ძალიან განიცდიდა მისი მშობლების ბიბლიოთეკისა და არქივის ბედს და ამაზე დარდი არ აძლევდა მოსვენებას. სამწუხაროდ, მზია დეიდას ვეღარ, მაგრამ მის ქალიშვილებს, მის დას და დისშვილებს კი შეგვიძლია ვუთხრათ, რომ ნეტა, უცხოეთში დაცული ყველა ქართული არქივი ისე იყოს მოვლილი და დაცული, როგორც თამარ და აკაკი პაპავების არქივი იქნება მოვლილი და დაცული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

მზია პაპავამ და მისმა მეუღლემ საშა ჭეიშვილმა არაერთ უჭირისუფლო ქართველს უპატრონეს არგენტინაში. თავისი მშობლების არქივთან ერთად, მზია დეიდამ საქართველოში გამომატანა არგენტინაში სხვადასხვა დროს გარდაცვლილი დავით ლოლობერიძის, ივანე ფალიაშვილისა და ტარასი შანავას გარდაცვალებისა და დაკრძალვის საბუთები – იქნებ მათი ნათესავები მოიძებნონ შენი გაზეთის მეშვეობითო.

მზია დეიდას მეუღლე – საშა ჭეიშვილი ათწლეულების განმავლობაში ავიაკომპანია „ლუფტჰანზას" გადაზიდვების დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა ბუენოს-აირესში და თამარ და აკაკი პაპავების ფერფლი სწორედ მან გადაასვენა ლევილის ქართველთა სასაფლაოზე. მანვე გადაასვენა ლევილში ტურფა პაპავასა და ლეო ჭეიშვილის 25 წლის ქალიშვილის მაყვალას ფერფლი. თავად საშა ჭეიშვილის ფერფლიც დღეს ლევილში განისვენებს. მზია პაპავა-ჭეიშვილის ნეშტიც საბოლოოდ ლევილის სასაფლაოზე დაიკრძალება მშობლებისა და მეუღლის გვერდით.

მზია პაპავა 2 ნოემბერს გარდაიცვალა. მას ზუსტად 20 დღე დააკლდა, რომ 90 წლისა შესრულებულიყო. აქედან 86 წელიწადი მან უცხო მიწაზე გაატარა, მაგრამ ერთი წუთითაც არ დავიწყებია, რომ ქართველი იყო და შვილებიც ნამდვილ ქართველებად აღზარდა თავის მეუღლესთან და მშობლებთან ერთად.

გულნარა ჭეიშვილი ექიმია, სალომე ჭეიშვილი – არქიტექტორი და, თუმცა, ორივენი არგენტინის მოქალაქეები არიან, იშვიათია მათებრი ქართველი, იშვიათია მათებრი სიყვარული საქართველოსი – მათი შორეული და ძვირფასი სამშობლოსი.

იმის მიუხედავად, რომ ენა ფაქტობრივად უცხოეთში აიდგა და ექვს თუ შვიდ ენაზე თავისუფლად ლაპარაკობდა, მზია პაპავა-ჭეიშვილის მშობლიური ენა ქართული იყო. დღესაც ყურში მიდგას მისი დახვეწილი, შეურყვნელი ქართული, მდიდარი ლექსიკით, საჭირო დროს – სალაპარაკო, საჭირო დროს – ლიტერატურული, თავისუფალი ემიგრანტთა დიდი ნაწილისთვის დამახასიათებელი უცხოური აქცენტისა და ყოველგვარი ბარბარიზმისაგან.

საქართველოს განთავისუფლებას და მისი დამოუკიდებლობის აღდგენას კი მოესწრო, მაგრამ სამშობლოს ხილვა აუსრულებელ ოცნებად დარჩა. ძალიან შორს არის არგენტინაო, ამბობდა. ერთხელ კი მითხრა – განა ჩემი შვილები რომ ჩადიან საქართველოში, ეს ჩემი სამშობლოში დაბრუნება არ არისო?!

**არის, როგორ არ არის!**

**გულნარა და სალომე ჭეიშვილები კიდევ არაერთხელ ჩამოვლენ საქართველოში და მათი ყოველი ჩამოსვლა მზია პაპავა-ჭეიშვილის სამშობლოში დაბრუნებაც იქნება. საშა ჭეიშვილის დაბრუნებაც.**

**თამარ და აკაკი პაპავების დაბრუნებაც.**

**პაატა ნაცვლიშვილი**

• „ერთადერთი გამოსავალი დიალოგია, თუკი ახლა ქვეყანაში რამე მოხდა, ჩათვალეთ, რომ საქართველო დაიღუპება!“



◉ ორბიტაზე



## ფეხით სიარულიც კარგად სცოდნია

**ტრადიციული ნიუ-იორკის მარათონი, ასი ათასობით კაცი რომ მონაწილეობდა, ღირსშესანიშნავი იყო არა მხოლოდ იმით, რომ კენიელმა მარტინ ლელმა და ბრიტანელმა პოლა რედკლიფმა გაიმარჯვეს, არამედ იმითაც, რომ საყოველთაო ყურადღება მიქცეული იყო ერთ-ერთ მონაწილეზე, მსოფლიოში ძალზე პრესტიჟული ველორბოლის „ტურ დე ფრანსი“ შვიდგზის გამარჯვებულზე, ამერიკის გმირზე ლენს არმსტრონგზე.** ის მეორედ მონაწილეობს მარათონულ გარბენში. სახელოვანი ველომრბოლი შარშანაც დარბოდა ნიუ-იორკის ქუჩებში. შარშან უჩვეულო ძალისხმევით მისი შედეგი იყო 2,59,36. შემდეგ რეაბილიტაციისთვის მას 4 თვე დასჭირდა. რეგულარული ვარჯიშისა და სპეციალისტების დახმარებით არმსტრონგმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა შარშანდელი შედეგი, ამჯერად მისი დროა 2:46,43.

„კვირას სირბილმა სასიამოვნო გრძნობა განმაცდევინა, – განაცხადა მარათონის შემდეგ ამერიკის გმირმა, თავის დროზე საშინელი სენი კიბო რომ დაამარცხა, – მინდოდა 2,50 ჩარჩოებიდან გამოვსულიყავ. თუმც სირბილის ბოლოს ისე დავიქანცე, რომ საბოლოო შედეგზე აღარც მიფიქრია. მიხარია, რომ მიზანს მივაღწიე!“.

◉ ჭადრაკი

# კალაძე მოუწოდებს!

**იტალიური „მილანის“ ქართველმა ფეხბურთელმა კახა კალაძემ, გუშინწინ ჩემპიონთა ლიგის გათამაშების მორიგ მატჩში დონეცკის „შახტიორი“ განადგურებაში (3:0ძ რომ მონაწილეობდა, ოპოზიციასაც და ქვეყნის ხელისუფლებასაც თავშეკავებისა და ჭკუის მოხმობისკენ მოუწოდა.** „ერთადერთი გამოსავალი დიალოგია, თუკი ახლა ქვეყანაში რამე მოხდა, ჩათვალეთ, რომ საქართველო დაიღუპება!“

ქართველმა ლეგიონერმა საინფორმაციო სააგენტო „ნოვოსტის“ განუცხადა: „მიმაჩნია, რომ პოლიტიკოსებმა საქართველოს ბედი თავიანთ პირად მიზნებზე მაღლა უნდა დააყენონ“.

„მე ძალზე მეცოდება უბრალო ხალხი, რომელსაც პოლიტიკოსები თავისი მიზნებისთვის იყენებენ. მეც სილარიბეში გავიზარდე, დედაჩემი ღვეზელებს ჰყიდდა და იმით ვცხოვრობდით. ყველაფერი, რაც ახლა გამაჩნია, – დაძაბული შრომის შედეგია. მაგრამ მე მახსოვს – როგორ გვიჭირდა. პოლიტიკოსთა საქმეებით კი ყველაზე მეტად უბრალო ხალხი ზარალდებოდა“, – აღნიშნა კილაძემ.

**(ეს ინფორმაცია გავრცელდა 7 ნოემბრის ტრაგიკულ ამბებამდეძ.**

◉ ჭადრაკი

# მედლებს ვერ შესწვდნენ

**კუნძულ კრეტაზე დამთავრდა მოჭადრაკეთა ევროპის გუნდური ჩემპიონატი, რომელშიც, როგორც გაუწყეთ, საქართველოს წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.** სამწუხაროდ, მათ ამჯერადაც ვერ შეძლეს საპრიზო ადგილებზე გასვლა, არადა, ქალთა გუნდს ცოტა დააკლდა ბრინჯაოს მედლებამდე. ჩვენები ბოლო ტურში სომხებს ხვდებოდნენ. მოგების შემთხვევაში მესამე ადგილი გარანტირებული ჰქონდა. პირველ-მეორე დაფებზე მაია ჩიბურდანიძე და ლელა ჯავახიშვილი, შესაბამისად, ელინა დანიელიანსა და ლილით მკრტიჩიანს დაუზავდნენ. ნანა ძაგნიძემ სირანუშ ანდრიასიანს სძლია, ხოლო ნინო ხურციძემ ნელი აგინიანთან წააგო. შეხვედრაც ფრედ (2:2ძ დამთავრდა, რაც ხელს აძლევდა სომხებს, რომლებმაც 13 ქულით მესამე ადგილი დაიკავეს. ამდენივე ქულა მოაგროვეს პოლონელებმაც უკეთესი მაჩვენებლებით ისინი მეორე ადგილზე გავიდნენ. ჩემპიონობა კი 15 ქულით რუსებმა დაიმსახურეს. საქართველოს ნაკრებმა 12 ქულით მეხუთე ადგილი ხვდა.



ვაჟებშიც შესანიშნავად იასპარეზეს რუსებმა, რომლებმაც 9 ტურში მხოლოდ ქულა დაკარგეს და პირველობაც არავის დაუთმეს. მეორე-მესამე ადგილები სომხებსა და აზერბაიჯანელებს ერგოთ. 10 ქულით საქართველოს ნაკრები მე-13 ადგილს დასჯერდა.

◉ ჩემპიონთა ლიგა



# მხოლოდ შედეგები



**ჯგუფური ეტაპის IV ტური. „ა“ ჯგუფი.** „პორტუ“ – „მარსელი“ 2:1, „ლივერპული“ – „ბეშიქთაში“ 8:0.

„პორტუ“–8, „მარსელი“ – 7, „ლივერპული“ –4, „ბეშიქთაში“ – 3 ქულა.

**„ბ“ ჯგუფი.** „შალკე“ – „ჩელსი“ 0:0, „ვალენსია“ – „რუსენბორგი“ 0:2.

„ჩელსი“ – 8, „რუსენბორგი“ – 7, „შალკე“ – 4, „ვალენსია“ – 3 ქულა.

**„გ“ ჯგუფი.** „ოლიმპიაკოსი“ – „რეალი“ 0:0, „ლაციო“ –„ვერდერი“ 2:1.

„რეალი“ – 8, „ლაციო“, „ოლიმპიაკოსი“ – 5-5, „ვერდერი“ – 3 ქულა.

**„დ“ ჯგუფი.** „შახტარი“ – „მილანი“ 0:3, „სელტიკი“ – „ბენფიკა“ 1: 0.

„მილანი“ – 9, „შახტარი“, „სელტიკი“ – 6-6, „ბენფიკა“ – 3 ქულა.



◉ ფაქტები

# მილიარდერთა ბრიტანული ფეხბურთი

**უმდიდრეს საზღვარგარეთელ ინვესტორებს უდიდესი გავლენა აქვთ ბრიტანულ ფეხბურთზე. ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა ლონდონში გამოქვეყნებულმა იმ 100 უმდიდრესი ადამიანის სიამ ფეხბურთის სამყაროში რომ მბრძანებლობენ.**

ბრიტანული ფეხბურთის 10 უმდიდრესი ადამიანიდან 5 უცხოელია. განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ ამ ეროვნული თამაშის ახლანდელ პოპულარობას აძლიერებს ის ფაქტი, რომ აქ მოვიდნენ ინვესტორები, რომელთა საერთო ქონება მრავალ ათეულ მილიარდ გირვანქას ითვლის.



ყოველივე ამაზე ლაპარაკი დაიწყო მას შემდეგ, რაც გავრცელდა ცნობა, რომ ინგლისის პრემიერ-ლიგა დაახლოებით 0,7 მილიარდით უფრო მეტი ღირს, ვიდრე რომელიმე სხვა ევროპული ლიგა. ბრიტანულ ფეხბურთში დღითი დღე იზრდება ტელეტრანსლაციით შესული თანხების რაოდენობა.

ძველებურად ფეხბურთის მილიარდერებში ლიდერობს „ჩელსის“ პატრონი რომან აბრამოვიჩი, საერთოდ კი უმდიდრესთა პირველი ათეული ასე გამოიყურება: 1. რომან აბრამოვიჩი – 10,8 მილიარდი დოლარი, 2. ჯო ლიუსი – „ტოტენჰემი“ – 2,8 მლ. 3. ალიშერ უსმანოვი – „არსენალი“ – 2,76 მლ. 4. ბერნი ეკლსტოუნი – „კუინს პარკი“ – 2,5 მლ. 5. მაიკ ეშლი – „ნიუკასლი“ – 1,6 მლ. 6. დერმონტ დესმონდი – „სელტიკი“ – 1,6 მლ. 7. მალკოლმ გლეიზერი – „მანჩესტერ იუნაიტედი“ – 1,5 მლ. 8. სტენლი კრონკე – „არსენალი“ – 1,2 მლ. 9. ტრევორ ჰემინგსი – „პრესტონი“ – 0,98 მლ. 10. ლორდ ეშკროფტი – „უოტფორდი“ – 0,95 მლ.

თუმც თავად ფეხბურთელთა შორისაც არიან უმდიდრესნი – მილიონერები და არა მილიარდერები. მათ 112 მილიონი ევროთი ლიდერობს დევიდ ბექჰემი, შემდეგ მოდიან მაიკლ ოუენი – „ნიუკასლი“ – 37 მილიონი ევრო, რობი ფაულერი – „კარდიფი“ – 30, უეინ რუნი – „მანჩესტერ იუნაიტედი“ – 30 და სხვები.

◉ შემთხვევა

# თავზეხელაღებული!

**ფრანგული „ლიონის“ ჩეხი ფეხბურთელი მილან ბაროში პოლიციამ მაშინ დააკავა, როდესაც თავისი შავი „ფერარით“ ფრანგი მძღოლებისთვის სარეკორდო სიჩქარით – 271 კმ. საათში – მიქროდა ლიონის შემოგარენში.**

პოლიციამ ფეხბურთელს მანქანაც და მართვის მოწმობაც ჩამოართვა.



ასე რომ, თავზეხელაღებული მრბოლი ქალაქში ტაქსით დაბრუნდა. ახლა მას დიდი ჯარიმა და სამი წლით მართვის უფლების ჩამორთმევა მოელის.

თავზეხელაღებული რბოლის ადრინდელი რეკორდი ეკუთვნის ერთ-ერთ ფრანგ მოტოციკლეტისტს, თავის „ბედაურს“ 248 კმ-საათში რომ მიაქროლებდა.

# დედაენა

● იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების თანათავმჯდომარემ, პროფესორმა გიორგი გოგოლაშვილმა მოიწონა იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღის ქართული საბავშვო წიგნის დღედ გამოცხადება და მისი ტრადიციად დამკვიდრდება. მისი თქმით, ქართულ სინამდვილეში „აი ია“-ზე დიდი აღმოჩენა არ არსებობს




## ◉ აფორიაქებული განწყობით

# ხალხმა თუ არ იყვირა...

**წამყვანმა გაუტია.**

**ენის ქარი გაშალა.**

**„წუხელ თბილისში მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე აფეთქდა დაზიანებული გაზქურა. აფეთქების შედეგად ოთახში მყოფი ხანში შესული ადამიანი საავადმყოფოში მიყვანამდე მოკვდა. გვამი პროზექტურაში იქნა გადატანილი.“**

ინფორმაცია ისე ხალისიანად ჩააბულბულა, თითქოს ერთი სული ჰქონდა გაეგო, თუ როგორ გაიხარებდა აუდიტორია.

ტანში გამცრა.

ბუსუსები დამაყარა.

სულ ასე მემართება, როცა უბედური შემთხვევის მსხვერპლთ ასე უდიერად მოიხსენიებენ ხოლმე..

ბუნებრივიც არის.

ჩემს ყმაწვილკაცობაში არავის დასცდებოდა მეზობელი მომიკვდა, გვამი ჩემი ხელით გავაპატიოსნეო.

ნებისმიერ შემთხვევაში მოწიწებით მოყვებოდნენ რომ ჟურნალისტებს არ დაეკონტაქტებოდა.“

ენიდან გაქრა ძირძველი „ჭაშნიკი.“

ოდითგან შეთვისებული.

გათავისებული.

სახელმწიფო სტრუქტურების მესვეურთა, პარლამენტის ზოგიერთი წევრის ზედმეტი მონადინებით იშვა „დაგემოვნება.“

აშკარად უგემოვნო.

უსისხლო.

კიდევ:

„გაჩმახება.“

„დამანდრაჟება.“

ეს უკვე ბევრად მაღალი პრეზიდენტის ლექსიკონიდანაა და, ვფიქრობ, ენაში დამკვიდრებისთვის არის „განწირული.“

სხვაც მრავალი.

ათასობით უცნაური, ენისთვის მიუღებელი სიტყვა.

სიტყვათა თანწყობა.

კალკი.

ბარბარიზმი.

ღმერთი და რჯული!

დამოწმებული მაგალითებიდან არცერთი არ არის მოგონილი.

ქმნის და ზოგჯერ ადამიანს საკუთარ თავს ავიწყებს, მაგრამ ენისთვის ზურგშექცევის უფლება საქართველოში არავისთვის მიუცია გამჩენს. არადა მარტო ენათმეცნიერების, მწერლების, ჟურნალისტების საქმე არ არის ეს. ვერც ისინი შეძლებენ ყველაფერს, ასე იოლად ვერ აღუდგებიან წინ ენობრივ წარღვნას, რომელიც წუთი წუთზე წალეკვას გვიქადის, თუ ხალხი არ გადაუდგა წინ და მართლაც საკუთარი მკერდით არ დაიცვა იგი.

ამგვარი თავდადების მაგალითი ბევრიც არ მაგონდება.

ჰა და ჰა, ერთი-ორი შეიძლება გავიხსენო.

შემინდოს უფალმა, თუ ვცოდავ.

შორს წასვლის არანაირი სურვილი არ მაქვს, ახლოს უნდა ვიტრიალო. ასე უფრო კარგად ვგრძნობ თავს.

ჩემს ოჯახში ჟარგონის ენაზე არავინ საუბრობს. რამდენიმე დღის წინ პატარა ბიჭი ალაპარაკდა მხოლოდ. ბებია მულტიპლიკაციურ ფილმს აყურებინებდა. ეტყობა, მოსწყინდა და თქვა: ეს არ მაინტერესებს, „ვაბშე“ სულ გამოვრთავო ტელევიზორს.

დამცეცხლა.

საიდან?

როგორ?

სულ ერთი თვეა ბაღში დადის. იქ გაიგონებდა-მეთქი, ვიგუმანე ჩემთვის. მაინც გადავამოწმე. თედო ამბობსო, ჩემი ბაღის ამხანაგი, წაიტრაბახა კიდეც ძმაკაცობით.

არ გამკვირვებია.

მეტწილად ასეა ახლა.

ხალხი არჩევს ტრადიციულ სახელებს. მამა-პაპათა ნაანდერძევს. თავსაც იწონებს, აქაოდა ნახეთ რა ერის მოყვარული, პატრიოტი ვარო, „ტო.“

ასე ელაპარაკება შვილსაც, რძალსაც.

შვილიშვილი უსმენს გაყურსული.

იმახსოვრებს.

ამიტომაც მოდიან და მოდიან „ტო-“ები, „ვაბშეები,“ „კაროჩეები,“ შესარჩევი „კასტინგები,“ ზრდილობისთვის „ქასთინგებად“ გადაკეთებულები. სხვათაშორის, ხელოვანთა შორისაც ძალიან მომრავლებულები. ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ამის მიფუჩეჩება უზნეობა იქნება, რადგან ყველაზე მეტად მათ უსმენს ხალხი, ყველაზე მეტად სჯერა მათი.

შეიძლება ძაღლის თავიც აქ არის დამარხული. როგორღაც ენა ჯერ კიდევ არ ქცეულა საერთო - სახალხო ყურადღების საგნად, ურომლისოდაც წყალსა და მეწყერს მიაქვს ყველაფერი.

გიორგი მეფე ტრიალებს თვალწინ. კონსტანტინე გამსახურდიას რომანიდან „დიდოსტატის მარჯვენა.“

მთელმა ერმა თუ არ მოინდომა, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებსო მას, ბრძანებს ღალატის არაერთი შემთხვევის გამო გულშეძრული მეფე, სიკვდილის მოახლოების შემცნობი.

**მეფე მართალია. მარტო ლაპარაკი, ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე წერილების ბეჭდვა საქმეს ვერაფერს წაადგება, თუ ხალხმა, საზოგადოების უმრავლესმა ნაწილმა არ გადადო თავი და არ იყვირა:**

**კმარა!**

**დგას უკვე ამის დროც, ალბათ.**

მომხდარზე. საამისოდ ქართულ ენას, ღვთის წყალობით, უამრავი ცნება აქვს.

„გარდაიცვალა.“

„ცხედარი.“

„დაკრძალვა.“

ახლა ცხოვრება იმდენად შორს წავიდა, რომ თითქმის ყოველი მეორე კაცი ამ სიტყვებს ვეღარ იხსენებს და ყველას ერთნაირად „მარხავს.“

არავის კრძალავს.

ისე ჩანს, თითქოს პატივისცემა გამქრალია და ენაც უბედურად ღარიბდება.

ტელევიზიით.

რადიოთი.

ჟურნალ-გაზეთებით.

რაც მთავარია, ხალხის მეტყველებაში შემოპარული თუ ძალით, მოდურობის საფარველით შემოპარული ტერმინებით, რის გამოც მეტყველება უცნაურ ტონალობას იძენს.

„მას დამახასიათებელი პიარაქციები ახასიათებს.“

„მისი მოვალეობაა გაკეთებულისა და გასაკეთებლის გაპიარება.“

„ტერიტორიას ამიერიდან ცხენოსანი რეინჯერები გააკონტროლებენ.“

„მონაწილეები შესარჩევ კასტინგში შეირჩნენ.“

„ახლა ხალვაში მალვაშია.“

„კატეგორიულად არასწორად არის დაყენებული მელოდია.“

„ეს არის აბსოლუტური აბსურდი.“

„მოსწავლეს უფლება აქვს სასკოლო დროისაგან თავისუფალ დროს სურვილისამებრ იმოქმედოს.“

„უბრალოდ, ლოგიკაში არ ჯდება,“

„პარკინგის ღირებულებაც მალე დადგინდება.“

„საზოგადოებაში მუსირებს აზრი, რომ ხელისუფლება რაღაცას ამზადებს.“

„თავიდანვე განაცხადა, გაზეთებიდან, ჟურნალებიდან ამოვიწერე, ტელე-რადიო გადაცემისას ჩავინიშნე. კიდევ შეიძლება ათასობით მაგალითის წარმოჩინება, მაგრამ ეს ბევრს არაფერს მოგვცემს. წერილის მოცულობას გაზრდის მხოლოდ. დასახელებულიც საკმარისია ვითარებაზე წარმოდგენის შესაქმნელად.

მაღალფარდოვნად საუბრის არავითარი სურვილი არ მაქვს, მაგრამ ჭეშმარიტებას ვერსად გაექცევა კაცი. კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო დიდთა მამათა მრავალჯერ თქმული: ენა ერის ფუძეა. ბალავარმოშლილი ბელელიც დასალუპად არის გადადებული და ერი – მით უმეტეს.

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება.“

დიდი ილია ფიქრობდა ასე.

„ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა. მაგას კაცი ცოდვილი ხელით არ უნდა შეეხოს.“

ყველაფერი გასაგებია.

მამული მაინც ფიზიკური ცნებაა. არ ცვდება ზედ მოარულთა ოდენობის გამო.

უფრო პირიქით:

შვილთა სიმრავლით ძლიერდება, ფართოდ შლის ფესვებს, ლაღად გრძნობს თავს.

მადლი უფალს, რომ გონზე მოვყავართ. სასოებით შევყურებთ და შვილის იმედიც გვაქვს შეჭირვების ჟამს. ხალხი ეკლესიაში დადის. მლოცველთა რიცხვიც სულ უფრო იზრდება. დარწმუნებული ვართ, ასედაც გაგრძელდება.

ერთია მხოლოდ:

ენის საშველი არ ჩანს.

არსად.

არაფერს ვაჭარბებ.

საზოგადოების უმეტესი ნაწილი დღეს ყველაფერზე ფიქრობს დედაენის გარდა. ლატაკთა სიმრავლე, არეული პოლიტიკური ვითარება ხვალინდელზე ხელის ჩაქნევის პირობებს

**რობერტ ძერია**

## ◉ ქართული საბავშვო წიგნის დღე

# კურთხეული თაოსნობა

## ვინ გახდება საბავშვო ლიტერატურული პრემიის ლაურეატი?

**საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდმა საბავშვო ლიტერატურის ალმანახის მესამე ნომერი გამოსცა. ალმანახის საზეიმო წარდგინება 27 ოქტომბერს იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღეს გაიმართა.**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდის, სახალხო ბანკისა და საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის ორგანიზებით, წმინდა სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდული ცენტრის საგამოფენო დარბაზში ქართული საბავშვო წიგნის დღე აღინიშნა.

ზეიმს წინ უძღოდა ქართული საბავშვო წიგნების გამოფენა-გაყიდვა, რომელშიც მონაწილეობდნენ: გამომცემლობა „დედაენა“, ასევე, გამომცემლობები: „ელფი“, „პალიტრა 2“, „ანბანი“, „ხარება“, „დიოგენე“, „დილა“, „ნაკადული“, „ციცინათელა“, ჟურნალი „ჯეჯილი“ და სხვები.

საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდის თავმჯდომარის, მწერალ ირმა მალაციძის თქმით, ქართული საბავშვო ლიტერატურა სრულიად დაუმსახურებლად არასახარბიელო ვითარებაშია და ძალზე ცოტა თუ ახერხებს საკუთარი შემოქმედების მკითხველამდე, ბავშვამდე მიტანას, და ეს მაშინ, როდესაც საბავშვო ლიტერატურის განვითარება უდიდესი ლიტერატურული ტრადიციების ქვეყანაში უწყვეტი პროცესი უნდა იყოს.

საბავშვო ლიტერატურის ალმანახის რედაქტორმა, პოეტმა მარიამ წიკლაურმა მადლობა გადაუხადა „სახალხო ბანკს“, რომლის შემწეობითაც ბავშვებმა ალმანახის მესამე ნომერი მიიღეს. ჟურნალი ჟანრობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა – პროზის, პოეზიის, თარგმანების გარდა, მკითხველი გაეცნობა საბავშვო დრამატურგიას, მუსიკას, რომელიც საბავშვო ბაღებსა და სკოლებში ძალიან სჭირდებათ და ბავშვის აღზრდაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს.

იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების თანათავმჯდომარემ, პროფესორმა გიორგი გოგოლაშვილმა მოიწონა იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღის ქართული საბავშვო წიგნის დღედ გამოცხადება და მისი ტრადიციად დამკვიდრდება. მისი თქმით, ქართულ სინამდვილეში „აი ია“-ზე დიდი აღმოჩენა არ არსებობს.

იმის მიუხედავად, რომ მრავალი „დედა ენა“ გაჩნდა, და განათლების სისტემის ნუსხაში, იაკობ გოგებაშვილის სახელი არ ჩანს, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ ჯერ კიდევ ცოცხალია. ამ გამოფენაზე არის ერთი წიგნი, სწორედ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, რომელიც გამომცემლობა „დედა ენამ“ დასტამბა უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით. ეს ძალიან კარგი ინიციატივაა, რათა ახალი სიცოცხლე დაუბრუნდეს იაკობ გოგებაშვილის „დედა ენას“ და წიგნიერების გზა ისევ ამით დაიწყოს“.

ქართული საბავშვო წიგნის დღე ბავშვებს მწერალმა დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორიამ და ჟურნალ „დილას“ რედაქტორმა დოდო წივწივაძემ მიულოცეს.

დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორიამ ყურადღება გაამახვილა საბავშვო წიგნის გამოცემის პრობლემებზე, რომ 124 წლის ჟურნალი „დილა“ უსახლკაროდაა, 80 წლის გაზეთი „ნერგი“ ქუჩაშია, ხოლო 75 წლის მილიონობით საბავშვო წიგნის გამომცემელი „ნაკადული“ უსახსრობის გამო წიგნს ვეღარ ბეჭდავს.

„საქართველოს საბავშვო მწერალთა დიდი, ნიჭიერი არმია ჰყავს, მაგრამ ეს არმია განსაცდელშია, მათი მოსიყვარულე გული ახალგაზრდების მართებული აღზრდისთვის ვერ იხარჯება“, – დაასკვნა მწერალმა.

საპატრიარქოსთან არსებული ადამიანის სულიერი და ინტელექტუალური ცენტრის ხელმძღვანელმა, მეუფე სტეფანემ საზოგადოებრიობას ერთი კარგი ინიციატივის შესახებ ამცნო – უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით, ცხადდება კონკურსი საბავშვო ლიტერატურული პრემიის მოსაპოვებლად. კონკურსი ითვალისწინებს მრავალ ნომინაციას – საუკეთესო საბავშვო წიგნის, საუკეთესო საბავშვო პოეზიის, საუკეთესო საბავშვო პროზის, თარგმანის, საუკეთესო საბავშვო ჟურნალისა და გაზეთის გამოსავლენად. მეუფე სტეფანემ მოუწოდა ყველა მწერალსა და გამომცემელს საკუთარი ნაშრომის წარმოსადგენად.

ჟიურის უხელმძღვანელებს უწმინდესი და უნეტარესი ილია II, ხოლო პირველი კონკურსი მისი აღსაყდრების 30-ე წლისთავს მიეძღვნება.

საბავშვო წიგნის დღე დაამშვენეს ქალთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ნანინამ“ (ხელმძღვანელი თეა კასაბურიძ და ფოლკლორულმა ჯგუფმა „ძველი ქალაქი“ (ხელმძღვანელი ვიქტორია სამსონაძეძ, ხოლო მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის ბიბლიოთეკის თანამშრომლების თანადგომით, ახალგაზრდულ ცენტრში ქართული წიგნის უძველესი ექსპონატები გამოიფინა.

**თამარ შაიშმელაშვილი**


რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

● მოკლედ, ყველა რუსეთელი ლონდონში მეზობლად სახლობს, რადგან ძვირიან უძრავ ქონებას ყიდულობენ, რომელსაც რიგითი ინგლისელების ჯიბე ვერ წვდება



**⦿ ისინი და ჩვენ**

# ოლიგარქები ლონდონგრადში

## ყოველი მეათე სახლი ინგლისში რუსულ ფულზე იყიდება

**რუსეთისა და დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური დაპირისპირება დროდადრო სხვადასხვა ფორმით ვლინდება. ჯერ იყო, ბრიტანელები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, იმის გამო, რომ მოსკოვმა ცალმხრივად გადასინჯა ხელშეკრულება სახალინისა და კოვიქტეს გაზის საბადოების ერთობლივად დამუშავების თაობაზე, ასევე აღფრთოვანებას არ გამოთქვამდნენ რუსეთის წინააღმდეგობის გამო ნატოს გაფართოებასა და რაკეტსაწინააღმდეგო სადგურის მშენებლობასთან, ა. ლიტვინენკოს მკვლელობის გარემოებათა გარკვევაში დახმარების გაუწევლობასთან დაკავშირებით. თუმცა, როგორც ჩანს, ყოველივე ზემოჩამოთვლილზე მეტად მათ სხვა, ასე ვთქვათ, უფრო „ხელშესახები“ რამ აღიზიანებთ — ესაა „რუსების შემოსევა“, ანუ ელიტური კერძო სახლებისა და სასახლეების, საფეხბურთო კლუბებისა და ა.შ. ახალი რუსების მიერ შესყიდვა. როგორც ამბობენ, მარტო ლონდონში 400 ათასი რუსეთელია „დაბანაკებული...“**

### დასანგრევია, აბა რა!...

ახლადგამდიდრებულმა რუსეთელმა მდიდრებმა ლონდონის შუაგულში უკვე დაიკავეს ყველაზე მდიდრული სახლები და, როგორც ვარაუდობენ, ეს მხოლოდ დასაწყისია.

— დავიღალეთ რუსეთელ მილიარდერებთან საქმეების გარჩევებით, ისინი ისე იქცევიან, თითქოს საკუთარ სახლში იყვნენ, — განაცხადა ლონდონის მერიის ერთ-ერთმა ჩინოსანმა. — მაგალითად, აბრამოვიჩის ნაცოლარმა, რომელსაც მან ქორწინების შემდეგ ორი კერძო სახლი დაუტოვა, მათი გაერთიანება გადაწყვიტა და კედლებს შიგნიდან ანგრევს. არადა, ესაა ისტორიული, ჯერ კიდევ მეფე ჯორჯის დროს აგებული შენობა, — ოხვრით თქვა მან და დასძინა: — უბედურება კი ის არის, რომ ყველა საბუთი მისის აბრამოვიჩს სრულ წესრიგში აქვს. მან ასევე წარმოადგინა ცნობა იმის შესახებ, რომ წინა მფლობელებმა ადრევე გადააკეთეს სახლი, ამდენად ფასეული მასში აღარაფერი დარჩა. ისეთი გრძნობა მაქვს, რომ თუ დასჭირდა, დედოფლის სასახლესაც იყიდის!

### ტეტჩერის მეზობლად

დედოფლისა რა მოგახსენოთ, მაგრამ დიდი ბრიტანეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრს ირინა აბრამოვიჩი უკვე „მიუცუცქდა“. მარგარეტ ტეტჩერის საცხოვრისი ჩესტერის მოედანზე რუსეთელი მილიარდერის ყოფილი ცოლის ორი სახლის (უფრო სწორად, სასახლისძ მეზობლად არის და გაცილებით უფრო მოკრძალებულია. ტეტჩერმა თავის ორსართულიან ბინაში ორი მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადა, ხოლო ირინას თითოეული „ქოხი“ ათი მილიონი გირვანქა სტერლინგი ღირს. სასახლეები, რომლებშიც ახლა დამკვრელურად მუშაობენ მშენებლები, გაკოტრებამდე პირადად ჰერცოგ ვესტმინტერელის შთამომავლებს ეკუთვნოდათ.

— ჩვენ უკვე ვიცით, რომ როცა ჩვენთან რუსეთელი მოდის, ფხიზლად უნდა ვიყოთ, — ამბობს ლონდონის უძრავი ქონების სპეციალისტი ტონი სტივენსი, — წარმოიდგინეთ: შემოვა წვერგაუპარსავი, დახეულ ჯინსებსა და მაისურში „გამოპრანჭული“ კაცი, შემდეგ კი აღმოჩნდება, რომ საბანკო ანგარიშზე ასობით მილიონი აქვს. თუკი რუსეთელი ლონდონში საცხოვრისს ყიდულობს, ის ახლად აშენებული კი არა, უმეტესწილად, ან ცენტრში ვიქტორიანული ეპოქის დროინდელი კერძო სახლია, ანდა მამული ქალაქის ფარგლებს გარეთ.



ლონდონის ცენტრალურ ნაწილში რომ გაიაროთ, მართლაც ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩებათ, რომ რუსეთელებმა აქ ყველაფერი ერთიანად იყიდეს. მარტო აბრამოვიჩს აქ ხუთი დიდებული კერძო ბინა აქვს შესყიდული (ზოგიერთი სხვის სახელზეა გაფორმებულიძ, სხვების ქონება უფრო „მოკრძალებულია“ (ერთი-ორი სასახლეძ. მაგალითად, „ალუმინის მეფედ“ წოდებული ოლეგ დერიპასკა ირინა აბრამოვიჩისგან ფეხით სიარულის 15 წუთის მანძილზე ასევე მეფე ჯორჯის დროინდელ ქათქათა თეთრი სასახლის ერთ ნახევარში ცხოვრობს, რომელშიც 20 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადა. თუმცა, როგორც ამბობენ, იქ იგი იშვიათად მიდის და მხოლოდ ოცი ღამე თუ ექნება გათენებული ინგლისელი მონარქის ყოფილ მოსასვენებელში. აქ, ძირითადად, მისი ოჯახი ბინადრობს და ჩამოსული რუსი პოლიტიკოსები სტუმრობენ.

### „საჭიროა ეკლიანი მავთულხლართი“

— კერძო სახლის ყიდვისას რუსეთელები, ჩვეულებრივ, ასეთ მოთხოვნებს აყენებენ: სასურველია დიდი სივრცე, მდიდრული შიდა მოწყობილობა და, რა თქმა უნდა, საცურაო აუზი. უსაფრთხოების მიზნით კი მოთხოვნები უფრო იდუმალების სფეროს განეკუთვნება, — ამბობს ტომ სტივენსი. — მაგალითად, ერთი რუსეთელი ბანკირი ითხოვდა, რომ მის სადარბაზოსთან... ეკლანი მავთულხლართი ყოფილიყო — მოსკოვში ასე მივეჩვიეო, ამბობდა. მოგვიწია იმის ახსნა, რომ ლონდონის ცენტრში საკონცენტრაციო ბანაკის მოწყობის უფლებას არავინ მოგვცემდა. სტატისტიკით კი, ბოლო წლის მონაცემებით, ლონდონში გაყიდული ყოველი მეათე სახლი რუსეთელებმა შეიძინეს.

როგორც ჩანს, სწორედ ამ მიზეზით გადავიდა ქალაქგარეთ საცხოვრებლად შერისხული რუსეთელი ოლიგარქი ბორის ბერეზოვსკი. ახლა მას ორი მამული აქვს: ერთი ვენტვორსპარკში (240 აკრი, 10 მილიონ გირვანქა სტერლინგადძ, მეორე — ჰესკომბ—კორტი (172 აკრიძ. მასვე ეკუთვნის სამოთახიანი ბინა ბელგრევ-სტრიტზე, დერიპასკას მეზობლად.

მოკლედ, ყველა რუსეთელი ლონდონში მეზობლად სახლობს, რადგან ძვირიან უძრავ ქონებას ყიდულობენ, რომელსაც რიგითი ინგლისელების ჯიბე ვერ წვდება.

* * *

— ლონდონის ქუჩებში პირველად რომ გაისეირნებ, პირველი, რაც ამ დიდებული ქალაქის შესანიშნავი არქიტექტურის, ულამაზესი სასახლეების, საზოგადოებრივი და კერძო პარკების სიუხვის მომაჯადოებელი სიმწვანის სილამაზისა თუ გზის მარცხენა მხარეს მოძრაობის შემდეგ გაგაოცებს, უცხოტომელთა რაოდენობაა, — მითხრა სამშობლოში ინგლისიდან დაბრუნებულმა მეგობარმა. — განსაკუთრებით კი ქალაქის ცენტრში. აღარაფერს ვამბობ გარეუბნებზე. იმდენი აზიელი, აფრიკელი და სამხრეთამერიკელია, რომ რაღაც მომენტში სულაც აღარ გაქვს იმის აღქმა, რომ ლონდონში იმყოფები.

როგორც ვხედავთ, ახლა ინგლისის დედაქალაქში რუსეთელებიც მრავლად არიან.

სტუმარი, იცოცხლეთ, ყველა პატივსაცემია, სათაყვანებელი, მაგრამ როცა ის შენს ქვეყანაში ფესვებს იდგამს და ცხოვრების საკუთარი წესი შემოაქვს, ეს ნებისმიერში გარკვეულ გაღიზიანებას (რომ არ ვთქვა პროტესტისა და განგაშის გრძნობასძ იწვევს. ვფიქრობ ეს. მოვლენა, გარკვეულწილად, იმის საცლაურია, რასაც ინგლისელები ახლა ყოფილი ბრიტანეთის იმპერიის, რომლის თავს მზე არასოდეს ჩადიოდა, ყოფილი კოლონიების თუ ზღვებსგაღმა ტერიტორიების მოსახლეობას უხდის. თუმცა ეს არ არის ჩვენი გასარჩევი, მე საქართველოს დარდი მაქვს. ინგლისელები დიდი და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, მრავალრიცხოვანი, ნაციონალური ტრადიციების უაღრესად ერთგული ხალხია და, ეჭვი არ მეპარება, შეძლებენ თავიანთი ცხოვრების წესის, ეროვნული თვითმყოფადობისა და მიწა-წყლის ისე შენარჩუნებას, როგორც ეკადრებათ. კი ყიდიან ისინი სახლებსაც, სასახლეებსაც, საწარმოებსაც, სხვა ბევრსაც, მაგრამ არა ისე ჰაიჰარად, როგორც საქართველოში ბოლო დროს ხდება, არამედ წინდახედულად, მომავალი პერსპექტივების გათვალისწინებით. ჩვენ კი... წეღან ვთქვი: ინგლისელები მრავალრიცხოვანი ერია და აუცხოტომელთაგან რაგინდ ბევრი გახდეს იქ უძრავი ქონების მეპატრონე, ამას მეტ-ნაკლებად ძალდაუტანლად აიტანს. ჩვენ კი, ვინც ასე უკანმოუხედავად ვყიდით უცხოლებზე ლამის ყველაფერს (მიწა-წყალს, რაც მთავარიაძ, ჩვენ (უფრო სწორად, ხელისუფლებასძ, რის იმედი გვაქვს? განა ცდებოდა რუსეთის ელჩი, როცა ცოტა ხნის წინათ გვითხრა, რომ ის, რასაც რუსეთი, მისი უზარმაზარი ტერიტორიისა და მოსახლეობის ოდენობის მადლით, შედარებით ადვილად გადაიტანს, საქართველოსთვის, შესაძლოა, საბედისწერო აღმოჩნდესო? დარწმუნებული ვარ (და არა მარტო მეძ, რომ არა.

ამიტომ, ვიდრე ჯერ კიდევ საბოლოოდ არ დაუქცევიათ ქვეყანა საქართველოში პრივატიზება-გასხვისების ნათლიმამებს, იქნებ ყური გამოიჩიჩქნონ.

**ოთარ ტურაბელიძე**

---

## განცხადება

**2007 წლის 24 დეკემბერს, 13 საათზე ქ. თბილისში, წერეთლის პროსპექტი №57-ში შპს „ვოთა დეველოფმენთ“-ს ადმინისტრაციულ შენობაში, გაიმართება ქ. თბილისის წყალსადენის არაგვის ხეობის სათაო ნაგებობების და ღრმაღელე-სამგორის საფილტრაციო სადგურების ელექტრომომარაგების სქემის რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.**

ქ. თბილისის წყალსადენის არაგვის ხეობის სათაო ნაგებობების და ღრმაღელე-სამგორის საფილტრაციო სადგურების ელექტრომომარაგების სქემის რეკონსტრუქცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართზე:

**● შპს „ვოთა დეველოფმენთ“-ს ადმინისტრაციულ შენობაში — ქ. თბილისი, წერეთლის პროსპექტი №57.**

**● სამეცნიერო-კვლევითი ფორმა „გამა“-ს ოფისში — ქ. თბილისში, მერაბ ალექსიძის ქ. №9 ა.**

საზოგადოების წარმომადგენლებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა 2007 წლის 23 ნოემბრის 18 საათამდე.

**შპს „ვოთა დეველოფმენთ“-ის ადმინისტრაცია**

---

## განცხადება

**სააქციო საზოგადოება თბილისის №1 ავეჯის სახლის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ**

**მოწვეულ იქნეს სს თბილისის №1 „ავეჯის სახლის“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება ა/წ 28 ოქტომბერს დღის სამ საათზე შემდეგი დღის წესრიგით:**

1. სს თბილისის №1 „ავეჯის სახლის“ ორივე სართულის სავაჭრო დარბაზის ფირმა დანიურ სახლზე იჯარით გაცემის შესახებ.
2. სს თბილისის №1 „ავეჯის სახლის“ სასაწყობო ფართობების იჯარით გაცემის შესახებ.

**სამეთვალყურეო საბჭო**

---

**მეუღლე ელისო, შვილები გელა, მარინა, თამუნა ღლონტები, რძალი ჟუჟუნა ვაშაკიძე, სიძე პაატა აბდუშელიშვილი, შვილიშვილები გიორგი და ირაკლი ღლონტები, ლევან და ნიკო აბდუშელიშვილები, ძმა ჯუმბერ ღლონტი, და მაყვალა ჩხარტიშვილი, ძმისწული თამუნა ღლონტი, დისწულები, ძმისწულები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**



**გიორგი (ჟორაძ კირილეს ძე ღლონტი**

**პანაშვიდი 8-9 XI, გამოსვენება 10 XI, 14 სთ. თბილისი, ხორნაბუჯის ქ.№47 (ყოფილი ვატუტინის ქუჩა, მე-8 საავადმყოფოსთანძ.**

---

**მამუკა ვაშაკიძე ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს ელისო ღლონტს მეუღლის, გელა, მარინა და თამუნა ღლონტებს მამის**

**გიორგი (ჟორაძ ღლონტის**

**გარდაცვალების გამო.**

# ბოლო გვერდი

● ნუთუ არ შეგვრჩა სურვილი წინსვლის,
რა არის ჩვენი არსობის არსი,
ეს წკარა-წკური გაისმის რისი?!
ეს ცრემლებია თვით ილიასი



## ◎ გუშინ რუსთაველზე




















## ◎ ილია — 170

# ნატყვიარი

რა სევდიანი თენდება დილა,
უკვე ჟამია წიწამურს წასვლის,
მთაწმინდას შუბლი ასე რომ სტკივა,
ნატყვიარია ის ილიასი.

ნუთუ არ შეგვრჩა სურვილი წინსვლის,
რა არის ჩვენი არსობის არსი,
ეს წკარა-წკური გაისმის რისი?!
ეს ცრემლებია თვით ილიასი.

თქვით, ქერუბიმთა და სერაფიმთა
სევდა ცისფერი ნეტავ ვის ასვით?!
რამდენი რამე უთქმელი ითქვა
სიტყვით და სიბრძნით თვით ილიასი.

გადმოიხედავს თეთრი მყინვარი
გასაოცარით რამ სიკისკასით,
მაღლით რომ მოდგა, ნეტავ ვინ არის?!
ეს აჩრდილია თვით ილიასი.

ნეტავ ეს კვნესა საიდან ისმის,
ჭრილობას ასე ზედ მკერდზე რა ხსნის,
მაისის ვარდებს ფერი აქვთ რისი?!
ეს სისხლი არის თვით ილიასი.

მაინც რამდენი სამსალა გვასვეს,
დაღვრილი სისხლის რა არის ფასი?!
ძეწნა დარდისგან ნაძენძი ასე
ეს არის გული თვით ილიასი.

რა სევდიანი თენდება დილა,
უკვე ჟამია წიწამურს წასვლის,
მთაწმინდას შუბლი ასე რომ სტკივა,
ნატყვიარია თვით ილიასი.

ჯანო ჯანელიძე
ქვიშხეთი
10.08.07 წ.

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

№ 214. ხუთშაბათი. 8 ნოემბერი. 2007 წელი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები (კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16)
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.